

ახალი ბანათლები

№17 (531) აპრილის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

უძიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ს საღვთო ეპისტოლე

ყოველდღიური მღვდელმთავარ-
ნი, ღირსნი მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მო-
ნოზონი, ყოველნი მკვიდრნი ღვთივკურ-
თხული ივერიის მინისა და დროებით ჩვენი
ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი ჩვე-
ნი ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!
გუგუნებენ ეკლესიათა ზარები და მსოფ-
ლიოს ამცნობენ, რომ დადგა დღე დღესასწა-
ულთა დღესასწაულისა.

„დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვა-
ლი“, შეიმუსრა ჯოჯოხეთი, განქარდა ბნე-
ლეთის ძლიერება და კაცობრიობა გათავი-
სუფლდა ეშმაკის ტყვეობისაგან. „სადა არს,
ჯოჯოხეთო, ძლიერა შენი? სადა არს, სიკვდი-
ლო, საწერტელი შენი?“

ქრისტე აღდგა!
ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ
პირველად მენელსაცხებულ დედებს ეხარათ,
დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მო-
ციქულებმა – თავიანთ სამწყობებს და, აი,
უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადა-
მიანი ხმობს: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად
აღდგა!

მაინც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოე-
ბით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მი-
ზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი –
ყოველადღიური, ყოველდღიური, ყოველდღი-
ური, ყოველდღიური ღმერთი – ყოვე-
ლადღიური სამება, რომელიც ყველგან არის
და ყოველთვის ალავესებს მადლითა თვისითა.


იგი თავისი მარადიული ნეტარების წიაღისა-
კენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე
ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფ-
ვის მისკენ და ადიდება მას.

ფსალმუნში ვკითხულობთ „აქებდით
უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა ში-
ნა; აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი,
აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი; აქებდით
მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ვარსკუ-
ლავნი და ნათელი; აქებდით მას ცანი ცათა-
ნი და წყალნი ზესკენელს ცათანი... აქებდით
უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფს-
კრულნი; ცეცხლი, სეტყუა, თოვლი, მყინვა-
რი, სული ნიავქარისა, რომელნი ჰყოფენ
სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუ-
ნი, ხენი ნაყოფიერი და ყოველნი ნაძუნი;
მხეცი და ყოველნი პირუტყვი, ქუენარმა-
ვალნი და მფრინველნი ფრთოვანი“ (ფს. 148,
1-4, 7-11).

ამ ღვთაებრივ ჰარმონიას ურჩობისა და
ამპარტყვეობის გამო თავისი ნებით განემო-
რა პირველქმნილი ადამიანი; თუმცა შემოქ-
მედს მასზე ზრუნვა არ მიუტოვებია. ეს
მდგომარეობა ბასილი დიდმა ასე გამოხატა:
„შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ,
შენ სინანულად მომინოდებ და მე ურჩ გექმ-
ნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვე-
ლითურთ წინააღმდეგმ შენდა არს ცხოვრე-
ბაი ჩემი“.

და აი, თითქმის 2000 წლის წინ მოხდა ის,
რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: ყოველდღაუ-
ტვენელმა განკაცება იწება და კაცობრივი
ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარა, ჯოჯო-
ხეთში შთავიდა, რათა მართალთა სულნი ეხ-
სნა და კაცობრიობისათვის დახშული ზეციურ-
ი კარიბჭე იხსნა. რა შეეძრა იმ
განძს, რაც მან ამ წუთისოფელში დროებით
მყოფ თითოეულ ჩვენგანს გვიბოძა?! როგორ
გამოვხატო ჩვენი მადლიერება ამ გამოგ-
ნებელი თავგანწირვის, სიყვარულისა და
მონყალეებისადმი?!

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ
ჩვენივე გადარჩენისთვის გვთავაზობს, ჩავ-
ჭიდოთ ხელი მის მსხნელ მარჯვენას და ჩვენი
გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა
ღვთის მადლი ცოდვის ჭაობს განვეშოროთ
და შიგ არ დავინთქათ. ამ სასწაულთა სასწა-
ულს ვეზიგობთ ახლა. ამიტომაც სიხარული-
თაა მოცული დედამინა; ჩვენს გამო ხარობს
ყოველდღიურად სამება და ანგელოზთა დასი,
რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის
მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი
მორწმუნეთათვის წარუვალ ნეტარებაში აღ-
მყვანებელ საშუალებად იქცა. ამიერიდან ესა-
თუ ის პიროვნება ან ეშმაკის და მისი ანგე-



ლოების ხვედრი შეიქმნება და მარადიული
ტანჯვისათვის გაინიერება, როგორც ეს აღ-
რეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წიაღ-
ში დამკვიდრდება. სხვა არჩევანი არ არსე-
ბობს.

ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდ-
რება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწე-
ვა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად
სხვისთვის მსახურება დავისახოთ, რომ
ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ
ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თა-
ვისი „მე“-დან და გამუდმებით თავისი თავის
გარშემო ტრიალებს... ის იმ ღერძს მიღმაა,
რომელიც ქრისტეა“.

გვერდი 3

ჩემს სათაურებს მორგებული აკა მორჩილადის პასუხები...

რამდენიმე დღით ღონიერიდან საქართველოში დაბრუნებულ მწერალთან, აკა მორჩილა-
ძესთან, ილიას უნივერსიტეტმა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ილიას უნივერსიტე-
ტის თეატრში შეხვედრა მოაწყო. საღამოზე წარმოდგენილი აკა მორჩილადის ლიტერატურუ-
ლი პალიტრა 20-ზე მეტი წიგნისგან შედგებოდა. მწერლის მოყვარული მკითხველი, ბუნებრი-
ვია, ამ შემთხვევას ხელიდან ვერ გაუშვებდით, რადგან, მაშინაც კი, როცა მწერალი საქარ-
თველოში ცხოვრობდა, ამის შესაძლებლობა იშვიათად გვეძლეოდა.

აკა მორჩილადის არაერთი ლიტერატურული პრემია აქვს მიღებული, ბოლო 2010 წელს ერ-
გო – „ილიას უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემია“ რომანისათვის „მამლუქი“.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 წლის 23 აპრილიდან, ერთდროულად მკითხველს „აკა
მორჩილადის ბიბლიოთეკას“ სთავაზობს. ბიბლიოთეკა, თანამედროვე დიზაინით, გააერთიან-
ნებს 1998 წლიდან დღემდე გამოსულ ყველა რბილყდიან გამოცემას. წლის ბოლომდე კი,
მკითხველი კიდევ ერთ საჩუქარს – აკა მორჩილადის სამტომეულს მიიღებს. იგეგმება, აგრეთ-
ვე, ერთი საინტერესო პროექტის განხორციელება, რომელიც „სარბიელში“ გამოქვეყნებულ
მწერლის სპორტულ მიმოხილვებს შეკრებს და წიგნის სახით გამოსცემს.

კარგა ხანია, მასთან ინტერვიუს ჩანერა მსურდა, ამიტომაც საგანგებოდ მოვემზადე, თუმ-
ცა, ვერც ამჯერად მოვახერხე. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის მხოლოდ იუმორით საცხე პა-
ტარა მონაკვეთები მოვამზადე, რომელთაც ასე ვუნოდე: ჩემს სათაურებს მორგებული აკა
მორჩილადის პასუხები...

**ტრადიციული კითხვა – რა არის
იმავესი თქვენი ნაწარმოების წარსას?**

თუ მოგყვები, რაღა საინტერესო იქნება,
გააჩნია, კონკრეტულ შემთხვევებს. მართა-
ლი ფოთბრათ, არ ველოდი ამ შეკითხვას და
შევეცდები გავიხსენო. ყველა წიგნს თავისი
იმპულსი აქვს. ძირითად შემთხვევაში იმ-
პულსი არის რაღაც ამბავი, რაც თავში მომი-
ვა ან რაღაცას ვნახე, მერე ფიქრობ ან
შესახებ და ვიწყებ წერას. ანუ, ძირითადად,
ვფიქრობ დიდხანს და მერე ვწერ. არ არის

ხოლომე ისე, რომ ნელ-ნელა ვწერო. როცა
აღარ გრძელდება ამბავი, ბუნებრივია,
ვწყვეტ წერას.

ყველაზე მეტად ნამდვილი ამბავი არ მიყ-
ვარს ხოლომე, თუმცა ეგეც დამინერია, მაგრამ
ნაკლებად. რასაც მე ვაკეთებ, ეს არაა მხო-
ლოდ ამბავი ან თუ ამბავზე ვწერ, მას ემატე-
ბა ხოლომე დიდხანს ნაფიქრი. მექანიკურად
ვწერ, მერე არაფერს არ ვცვლი. ალბათ, ყვე-
ლას თავისებური წერის ტექნიკა აქვს. ჩემ
შემთხვევებში ასეა – წერის დროს არ ვფიქ-

რობ, თუ ფიქრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ იტან-
ჯები. ზოგი პირიქით, ბევრს ფიქრობს ხოლ-
მე. მე სიუჟეტზე, ძირითადად, წერამდე ვფიქ-
რობ. შეიძლება წერის დროს რაღაც ამბავი
დაემატოს, მაგრამ სიუჟეტი უცვლელია.

სულ რაღაცას ვიგონებ, ადრეც კი ვიგო-
ნებდი, მაგრამ ასეთი სისხირით არა. თუ გა-
წუხებს რაღაც, აუცილებლად დანერ.

სიღონია გამოვიგონე თუ არა? ის ქვეყანა
საერთოდ არსებობს? გამოგონება უფრო სა-
ინტერესოა. ვიღაც შეიძლება შეგხვდეს და
საინტერესო იყოს, მაგრამ გამოგონებული
გმირები უფრო საინტერესოა, იდიალიზი-
რებული გმირები არიან...

ინგლისურენოვან წიგნებს რაც შეეხება,
მე არ ვარ პროფესიონალი ინგლისელი მწე-
რალი, სწავლა მომიწია. დაწერე ორი წიგნი,
რომელიც ჯერ არ გამოსულა და ალბათ კარ-
გა ხანს იდება ასე.

რაც შეეხება ქართულ გამოცემას, დიდი
იმედი მაქვს, წლის ბოლოს კიდევ ერთი ახალი
რომანი გამოვა, მეც ველოდები, წერის პრო-
ცესში ვარ. სულ ვწერ, აბა, რა გავაკეთო...
ჩემს ნაწარმოებებს იშვიათად ვკითხულობ,
შემთხვევით თუ ნავიკითხავ, წიგნების დალა-
გების დროს ...

როგორია დარჩენილი აკა
როგორც გაირკვა, მჩვევია დეპრესია. უბ-
რალოდ, სახელი არ მცოდნია იმ მდგომარეო-

ბისა, რასაც დეპრესიას ვეძახით. ისე, მგონი
ყველაზე კარგი ფორმაა, მშვიდობიანი, მაქ-
სიმუმ შეიძლება შეანუხო ვინმე.

სასაუბრო „მამლუქი“

გეტყვით, ამ წიგნში ასეთი ეპიზოდია: რაიო-
ნული ცენტრის მუზეუმში მუშაობს ერთ-ერთი
გმირი. პატარა ქალაქში ადრე იყო მხარეთმ-
ცოდნობის მუზეუმები, რომელსაც ხშირად
ვსტუმრობდი ბავშვობაში. ძალიან საინტერესო
იყო. ახლა არ ვიცი, არსებობს თუ არა მსგავსი
მუზეუმები. ეს გახდა მიზეზი ამ წიგნის დაწე-
რისა. დასავლეთ საქართველოს პატარა ქალა-
ქის ერთ ასეთ მუზეუმში ხდება ყველაფერი.
„მამლუქი“, რაღაცნაირად, ეს მუზეუმი გახდა
სოციალური კატაკლიზმების ცენტრი ერთ
ქართველ ბიჭთან ერთად, მერე გამოჩნდა
პატარა კაციც და ასე აღწერე 90-იანი წლების
საქართველოს ტრაგიკული მოვლენები.

**გამოცდილება, წარმოსახვა
თუ დაკვირვება...**

უფრო ბოლო ორი ალბათ. გამოცდილება
არაფრის არ მაქვს. გამოცდილებით არ ვწერ,
„ავისტოს პასიანი“ – ეს გამოცდილება არ
არის, ეს კარგი თვალა. წარმოსახვა მე მგონი
მაქვს, არასაჭიროც კი, ხშირად შემანუხველიც.

გვერდი 4

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, დიმიტრი შაშკინის ბრძანების საფუძველზე, დირექტორების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი დაიწყო. გასაუბრება 2 მაისიდან დაიწყო. კონკურსანტებმა კომისიას, ელექტრონულ ფორმატში, მათ მიერ არჩეულ თემაზე 5-წუთიანი პრეზენტაცია უნდა წარუდგინონ. დირექტორების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩატარდება, მისამართი: უზნაძის ქ. 52.

გურიისა და აჭარის რეგიონის კონკურსანტებისთვის გასაუბრების თარიღი მოგვიანებით განდება ცნობილი. გასაუბრება ჩატარდება ქალაქ ბათუმში.

დირექტორთა შესარჩევი კონკურსის მიმართ ეტაპის ბანრიბი

2 მაისი	3 მაისი	4 მაისი
5 მაისი	6 მაისი	10 მაისი
11 მაისი	13 მაისი	16 მაისი
17 მაისი	18 მაისი	19 მაისი
20 მაისი		

გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოსაშვები გამოცდებისთვის მზადების ბოლო ეტაპზეა. ამასთან დაკავშირებით, მათ მიმართული და ცენტრის წარმომადგენლები საქართველოს ყველა იმ საჯარო სკოლის დირექტორთან მართავენ შეხვედრას, სადაც გამოსაშვები გამოცდები ტარდება.

სკოლის დირექტორებს გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩატარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. ისინი ბოლო ინსტრუქციებს იღებენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარიმართოს საგამოცდო პროცესი სკოლებში.

პირველი შეხვედრა, 29 აპრილს, ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში გაიმართა; აჭარის და გურიის რეგიონის სკოლების დირექტორებთან – 1 მაისს, ბათუმში; სამეგრელო და ზემო სვანეთის სკოლების დირექტორებს, 2 მაისს, ზუგდიდში შეხვედნენ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენლები დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოს საჯარო სკოლას ეწვივნენ. აღნიშნული სკოლა ერთ-ერთია იმ სამი სკოლიდან, რომლებზეც ცენტრს კურატორობა აქვს აღებული.

ცენტრის დირექტორმა ნათია ჯობაძემ სკოლა დაათვალიერა და შედეგებსა და მოსწავლეებს შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა და თანადგომას დაჰპირდა.

მომავალი სასწავლო წლის დაწყებისთვის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი საკუთარი სახსრებით შუაფხოს სკოლას გაურემონტებს და გაუხსნის რესურსთაბაზს, რომელიც აღჭურვება ახალი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და თანამედროვე ბიბლიოთეკით.

ცენტრის წარმომადგენლებმა შედეგებს 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეებიც გააცნეს.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შუაფხოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს საკანცელარიო ნივთები, სპორტული ინვენტარი და წიგნები გადასცა.

დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოს საჯარო სკოლა ერთადერთია, რომელიც თეთრი არაგვის, ე.წ. ბუდე-ფშავის მაღალმთიანი ხეობის სოფლებს ემსახურება. ამ მცირეკონტინენტის სკოლაში სულ 18 მოსწავლე სწავლობს და შედეგებს კლას-კომპლექტებში უწევთ მუშაობა.

ნათია ჯობაძემ განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი სოფელ შუაფხოს საჯარო სკოლაზე ზრუნვას მომავალშიც გააგრძელებს.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენცია გახსნა, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და მისი ორგანიზატორი სკოლა-ლიცეუმი „მნივნობარ-თუხუცესი“ იყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ დარგის ცნობილი მეცნიერები.

კონფერენციის მიზანი იყო: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაცია; ამ საგნებით მოსწავლეთა დაინტერესება; მათი სტიმულირება; უცხოელ თანატოლთა გაცნობა და მათთან დამეგობრება.

კონფერენციის მუშაობაში 13 სკოლა და 100-მდე მოსწავლე იყო ჩართული როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. მოსწავლეებმა ბიოლოგიაში, ფიზიკაში და ქიმიაში არაერთი საინტერესო თემა და პროექტი წარმოადგინეს. დიდი მოწონება დაიმსახურა ჩეხი და ლატვიელი მოსწავლეების მიერ შესრულებულმა ნაშრომებმა.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, სამინისტრო ყოველთვის მხარს უჭერს და მომავალშიც ნაახალისებს ღონისძიებებს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ცოდნა გაიღრმავონ და უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ ისეთ მნიშვნელოვან სფეროზე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება.

კონფერენციის მონაწილე ყველა მოსწავლეს სივლეები გადაეცა. ასევე, სკოლა-ლიცეუმის „მნივნობარ-თუხუცესი“ დირექციამ ისინი ერევანსა და ბაქოში სამდღიანი ექსკურსიით დაასრულა.

კიდევ ერთხელ მივხარტავთ მათორმატეკლასებს და მათ მასწავლებლებს!

ძვირფასო მებობრებო!

როგორც გახსოვთ, გამომცემლობა „დიოგენე“ საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით თქვენთვის ბიოლოგიის, ქიმიის, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელოები (საატესტატო საგამოცდო საკითხების კრებულები) გამოსცა. სულ რამდენიმე დღის წინ მათ რიცხვს შეემატა ანალოგიური კრებული საქართველოსა და მსოფლიოს გეოგრაფიაში (ავტორები – გია ჭანტურია და მათა ბლიაძე, რომლებსაც, ვფიქრობთ, თქვენ წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ).

კრებულში ამომწურავადა განხილული საატესტატო საპროგრამო მასალა, კერძოდ, კავკასიისა და მსოფლიოს გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირების თავისებურებანი XX-XXI საუკუნეებში, მსოფლიოსა და საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები: ურბანიზაცია, მიგრაცია, მოსახლეობის სტრუქტურა და სხვ. ზოგადად არის მიმოხილული კონტინენტები და უფრო დეტალურად – თანამედროვე სამყაროს რვა წამყვანი ქვეყანა. წიგნში უხვადაა წარმოდგენილი საცნობარო-სტატისტიკური მასალა, რომელიც, ცოდნის გაღრმავების პარალელურად, თქვენს ცნობისმოყვარეობასაც დააკმაყოფილებს.

კრებულს თან ახლავს ტესტური დავალებების ტიპური ნიმუშები, რომლებიც არა მარტო კრებულში წარმოდგენილ მასალას მოიცავს, არამედ საკითხების უფრო ფართო სპექტრსაც. ტესტებს ერთვის სწორი პასუხები.

იჩაბართო! ყველა ამ წიგნის შიგნით შეგიძლიათ რომოც წიგნის მაღაზიებში, ისე გამოცემლობაში. ჩვენი ახალი მისამართია: თბილისი, ანდრია აფაძის №9 (სპორტის სასახლის გვერდით).





საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა ფერთელაძემ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მესხეთე საერთაშორისო ოლიმპიადა გახსნა. ოლიმპიადა ილია ვეკუას თასზე პროგრამირებაში ტარდება და გამორჩეული ქართველი მათემატიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ვეკუას ხსოვნას ეძღვნება.

ტრადიციულად, ოლიმპიადის დასრულებული ტური, საქართველოს გარდა, ტარდება ნოვოსიბირსკში, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ანუ იმ ქალაქებში, რომლებთანაც დაკავშირებულია აკადემიკოს ილია ვეკუას მოღვაწეობა. წელს თბილისში გუნდები რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მოლდოვიდან ჩამოვიდნენ. 2 მაისს ოლიმპიადა საზეიმოდ დაიხურა და გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.

ილია ვეკუას ხსოვნისადმი მიძღვნილ ოლიმპიადაზე, ვეკუას თასის გარდა, წელს ორი სპეციალური პრიზი გათამაშდა: ნიკო მუსხელიშვილის პრიზით დაჯილდოვდა საუკეთესო საზღვარგარეთული გუნდი (თბილისში), ხოლო ვეგენი პანკრატევის სახელობის პრიზით დაჯილდოვდა ოლიმპიადის საუკეთესო გუნდი სამხრეთ კავკასიიდან. ამ პრიზებიდან პირველი დაწესებული აქვს ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს, ხოლო მეორე – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ხსენებულ პრიზებს, წელს პირველად, დაემატება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სახელობის პრიზი, რომელიც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაანება და რომელიც საუკეთესო ქართველი მონაწილეს გადაეცემა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ წამყვანი ქართველი სტუდენტი და მოსწავლე პროგრამისტები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პირველად მასპინძლობს ოლიმპიადას ილია ვეკუას თასზე. მანამდე ამ ღონისძიებას საქართველოში 2-ჯერ უმასპინძლეს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა.

უქმდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ს სააღვსურო ეპისტოლე

პირველი გვერდიდან

წმიდა მამები იმასაც გვასწავლიან, რომ აბსოლუტურად ბოროტი და ცოდვილი კაცი არ არსებობს და რომ ყველაზე უარეს მათგანშიც კი არის რაღაც ნაწილი სიკეთისა. მაგ., თუ მას გულწრფელად უყვარს შვილები, მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, უყვარს თუნდაც ცხოველები ან ბუნება, ე.ი. მასში არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ათბობს და ანათებს მის დაბნელებულ სულს; ყველას ვაღი, ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში გააღვივოს და ღვთაებრივ ცეცხლად აქციოს.

საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სინდისისათვის ზრუნვა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულში გავამეფოთ. გული არის სულის სავანე, სული კი - ერთგვარი ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი იღვრება. მადლის სიდიდე ჩვენს პიროვნულ ღვაწლზე და ძალისხმევაზე დამოკიდებულია. ბოროტისაგან ჩვენი გულისა და სულის მთავარი დამცველი ჩვენი სინდისია. სინდისი არის ღვთის ხმა და იგი ყოველთვის გვიბიძგებს სწორი ქმედებებისაკენ. მთავარია, ყური დავუგდოთ მას. მაგრამ ადამიანთა ნაწილი სწორედ იმის გამო საპირისპიროდ იქცევა, - ცდილობს ჩაახშოს იგი; სხვის დასახანად ვითომ ემსახურება უფალს, გული კი განშორებული აქვს ღვთისაგან. მაცხოვარი ბრძანებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუსა მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა. მრავალთა მრქუნა მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვინაისწარმეტყველებდითა?... და სახელითა შენითა ძალით მრავალნი ვქმენით? მას ჟამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნით თქვენ, განმეშორებით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (მათე 7,20-23). ღმერთმა გვიხსნას ამ მდგომარეობისაგან.

და მაინც როგორ მივხვდეთ, ჩვენს გულში ვის უდგას ტახტი? ამის პასუხს სახარება იძლევა: გულში, სადაც ცოდვა და ეგოიზმი ბატონობს, ბოლოქრობს ღვარძლი, ავსიტიყვაობა, შური, შუღლი, ამპარტყვნება და სხვა ვნებანი, იქ უფლის მადლი არ მკვიდრობს. მაგრამ არის გული სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მიმტყვებელი, სამართლიანი, მოწყალების გამცემი, სხვაზე მრწუნველი....

ასე რომ, ძნელი არ არის გვერკვეთ, ვისი მსახური ვართ და, ვიდრე ვერ კიდევ დრო გვაქვს, გადავდგათ გადამრჩენელი ნაბიჯები. საერთოდ, უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა გვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. ზოგს ერთ ტალანტს აძლევს, ზოგს - ორს, ზოგს - ხუთს ან ათს; პასუხისმგებლობაც შესაბამისია: ვისაც ერთი ტალანტი ებოძა, მას ათი ტალანტისა არ მოეთხოვება; მსუბუქია მისი ჯვარი და უფლის წინაშე მისი ვალდებულება, ხოლო ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოეთხოვება. მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი პასუხისმგებლობა, ნაწილს, - ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ დონის მსახურება ევალებათ.

იერარქიის არსი ქრისტიანობაში, სხვებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებულია და იგი ქვემდგომებისადმი უანგარო სიყვარულსა და მათთვის ზრუნვას გულისხმობს.

უფალი ბრძანებს: „ვინც თქვენს შორის მოსურნებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური, ხოლო ვინც მოინდომებს პირველობას, - ყველას მონა“; და ამის უდიდესი და უთვალსაჩინოესი მაგალითი, პირველ რიგში, თვითონ მოგვცა. ასეთი დამოკიდებულება მოეთხოვება ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს. მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვისა სწორედ ქრისტიანული სწავლებაა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი უნდა იხსნას თავისი უფლებები და დაელოდოს მათ, ვინც მათი დაცვა და აღდგენა უნდა უზრუნველყოს. საერთოდ, ყველა ერთიანი იდეა აქვს თავისი იდეა აქვს.

რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმინდა მამები აღმსარებელი ტირანის უწოდებენ და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზე დამყარებულია. ჩვენ გარშემო, სამუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.

მაგალითად, ავიღოთ ქრისტიანული ოჯახი; ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალა, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება. ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ეზრუნა ოჯახში ქრისტიანული ღირებულების დასამკვიდრებლად, დაიწყეს უკვე დანგრეული ურთიერთობების ხელოვნურად მოგვარება, რაც შედეგს ვერ გამოიღებს და ცოლის და ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო არასწორი გზით წარმართავს.

ოჯახის სიმტკიცისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ელემენტარული სოციალური პირობებისა და ზნეობრივი გარემოს შექმნას. პირველ ფაქტორს ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლად აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისაღები ხალხისათვის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამარჯვებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება. რაც შეეხება ზნეობრივ გარემოს, ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მის ორიენტაციაზე დამოკიდებულია.

სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივი, ნიჰილისტური და უხამსი ფილემითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დააზიანებს. არადა, როგორი მონადობაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით - მასმედიათა ბოროტება და ცოდვითი ცხოვრება აღზევდეს, ვულგარიზებული, ტექნოლოგიური საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონ-პატრონად ფული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორიენტაციები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს გაცილებით უადვილდება ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმავლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოჩენა, ოჯახური ანომალიების გახმაურება... არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბოქრისტიანობა და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. „სუროგატი დედების“ ინსტიტუტის შექმნა უმძიმესი დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება ეგოისტური აზროვნების ნახალისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მაღლიერების გრძნობასაც გამოიწვევს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტყობა და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუმცა ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხვდებით ბევრს ისეთს, რომელიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტ სიკეთის მთესველნი გახდებიან. ასეთი ზნეობის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებისა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მათ სასახელოდ

უნდა ვთქვა, რომ მაინც ინარჩუნებს ტრადიციულ ღირებულებებს და ქართული იდეის მატარებელი არიან. საერთოდ, ყველა ერთი იდეა აქვს.

რა არის ჩვენი იდეა და რაში ვლინდება იგი?

ეს შეიძლება გამოვთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვით - ჭეშმარიტების მსახურება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისადმი ერთგულებასა და თავგანწირვაში.

დაიხ, უზუნაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც გვიანდერმა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ერთი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის. პეტრინონის (ბულგარეთი) ქართული მონასტრის წარწერაც ამაზე მიგვანიშნებს: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხენი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ქართული იდეის განვრცობის არეალი გეორგი მერჩულემ ასე განსაზღვრა: „ქართლად ფრიალი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინარვის და ლოცვა ყოველი აღესრულებს“, ხოლო, ენასა ამას შინა „ყოველი საიდუმლო დამარხულ არს“ (იოანე-ზოსიმე). აქ, არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხედველობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი. ქართველთათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პატრონობს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მას სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ დროებით დაკარგულ თავის ტერიტორიებსა და ხალხს კი ყოველთვის თავისად მიიჩნევს. ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც წურვინ შეგვეცილება“. დაიხ, ქართული იდეისთვის უცხოა ექსპანსია და აგრესია. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია უანგარობის, გულწრფელობის, ვაჟკაცობისა და ზნეობრიობის გამოხატულება.

ქართული იდეაში ასევე სრული სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანული მცნება მოყვასის სიყვარულისა. ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ეს დამოკიდებულება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდდ, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული - გზად და ხიდად“ (რუსთაველი), რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახურებას გულისხმობს. ბოროტ საქმეში მეგობრობა და ერთგულება კი ეშმაკთან თანაზიარებაა. ქართულმა იდეამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბა ჩვენი ხასიათი, ჩვენი კულტურა და ყოფა.

ქართული იდეა არის იმ ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გაგრძელება, რომელიც უფალმა დაუდგინა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს... ოღონდ ეს არის ახალ ისრაელად სახელდებული ერის მსახურება (ცხოვრების წესი) ზეციური იერუსალიმის დასამკვიდრებლად. ასეთია ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა; გზა ძნელი, მაგრამ საამაყო, ვინრო, მაგრამ გადამრჩენელი, დროებითი ტკივილით დამიძიმებული, მაგრამ ქრისტესმიერი მარადიული სიხარულით სავსე. სწორედ ამ სულისკვეთების მქონე პიროვნებები ქმნიან ღვთისმშობლის ნილხვედრ ქართველ ერს, ხოლო ის ქართველები, რომლებიც ასეთი წესით არ ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ, თავისთავად განეშორებიან ან უპირისპირდებიან მის ნიალს და ქართული იდეის ნაწილად ვერ მიიჩნევიან. ისინი არიან ვაზის ნასხლავნი, რომელთა შორის სიცოცხლე არ არის. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული იდეისათვის მარტო გენეტიკურ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გაიხსენოთ მეფე ლუარსაბ დიდის ერთ-ერთი შვილი დავითი და მეფე თეიმურაზ I. ეგოისტური და ანგარებიანი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითი ღვიძლ ძმასაც დაუპირისპირდა და საქართველოსაც, სარწმუნოებაც შეიცვალა და დაუდ-ხანად ქცეული

მტრის ინტერესების დამცველი და მათი იდეის განმხორციელებელი გახდა. მაშინ, როდესაც თეიმურაზ I რწმენისა და მამულის დაცვას დედაც და შვილებიც შესწირა და თავისი ცხოვრებაც მუდმივ ბრძოლასა და ტანჯვანამებაში გადატარა, ბოლოს კი ბერობაში აღესრულა; მისი ცხოვრება ხალხისთვის მისაბამ მაგალითად იქცა.

ასე რომ, ქართული სამყარო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ერის ნიალი, მხოლოდ გენეტიკური ნიშნით არ შემოიფარგლება. სწორედ ეს აზრია ჩადებული ფარისევლებსადმი თქმულ მაცხოვრის ამ სიტყვებში: „უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ..., სიტყუაი ჩემი ვერ დაეტყვის თქუენ შორის..., უკეთუცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთაცა აბრაჰამისთა იქმოდეთ..., თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთვის არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე 8, 37,39,44,47). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული იდეის შემოქმედნი იყვნენ არაქართველნიც. მაგალითად, სპარსი რაჟდენ პირველმანამე და ევსტათი მცხეთელი, ტომით სომეხი დიდებულის ასული შუშანიკ დედოფალი, არაბი აბო, ასურელი წმიდა მამები და სხვანი.

სწორედ ქართული იდეიდან მომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა. საუკუნეთა განმავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს თანამემოქმედნი იყვნენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი. ამაზე მეტყველებს აქ არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრები და წარწერები, ქართველ მეფეთა ტიტულატურა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში, ბედიის მონასტრში დაკრძალული ერთიანი საქართველოს პირველი მონარქის, - ბაგრატ III-ის საფლავი. ამაზე მეტყველებს ჩვენს შორის არსებული სისხლისმიერი ნათესაობა და ნათელ-მორწონობა...

ჩვენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და საერთო წმინდანების მიმართ ვლოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი ვერ გაგვითმავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. მე განსაკუთრებით ვლოცულობ თქვენთვის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს უშუალო სამწყსოს - ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, საქართველოს ყველა კუთხის შვილს, ვულოცავ ჩვენს მართლმადიდებელ სამწყსოს: ოსებს, ბერძნებს, ასირიელებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, იეზუიტებს, აზერბაიჯანელებს, მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე უდებს... უცხოეთში დროებით მყოფ თანამემამულეთ, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, ფერეიდანის, მაზანდარანის, შერეთის მკვიდრთა და უფალს თქვენთან ერთად შევლადადებ: „აღდგომას შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩუენცა ღირს მყვენ ქუეყანასა ზედა წმიდით გულით დიდებდად შენდა!“

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

აღდგომა ქრისტესი თბილისი, 2011 წელი



პირველი გვერდიდან

ჩემს სათაურებს მორბეული აქა მორჩილად პასუხები...

ქართული მწერლის ლონდონური დღიურები

რა ცხოვრება ეგ არის, თქვენ გგონიათ მაგარია? ყოფა ძალიან მარტივია, ვზივარ და ვწერ. ხო, გაფიცვებია მეტროში, მიტინგები, სამასი ათასი კაცი; ლუდი, ისეთი სპეციფიკური; კარგი ტკბილი ქვეყანაა, თავისუფალი და, რა ჰქვია ჩვენთან? დემოკრატიული. ვცხოვრობ მუშებსა და იაპონელებს შორის, სპეციფიკური ქვეყანა და ქალაქი. ჩემი სახლის გვერდზე გადის ჩრდილოეთ ლონდონისკენ მიმავალი გზა, ანუ ფართო შარავნა, ეს ითვლება ცუდ ადგილად, რადგან ბევრი მანქანა მოძრაობს, მეორე მხარეს კი, იაპონელების სოფელია. ინგლისურ სახლებს თავისი სტილი აქვს, იქ დანგრეული არაფერია. სახლების სტილიც ამისდა მიხედვითაა.

შენ რომ თქვა, „ჯორჯიან რაითი“ ხარ, ჩათვლიან, რომ მეუფრამეტე საუკუნის ინგლისელი მწერალი ხარ, იმიტომ, რომ სამი ჯორჯი მეფობდა იმ დროს და როცა ამას წერ, მათთვის ცოტა ძნელი ასახსნელია. აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ ქართველი მწერლები. მოკლედ, თუ გინახავთ პოლანდიურ ნახატებში შავ-თეთრი სახლები, იქ სულ იაპონელები ცხოვრობენ, მეორე მსოფლიო ომის დროს დასახლდნენ. ყველაფერი იაპონურია, უფრო აქეთ, თურქები ცხოვრობენ და პენსიაში გასული ინგლისელები – მუშათა კლასის წარმომადგენლები, ეს კიდევ ცალკე თემაა... ისე რა სალაპარაკოა, რეებს მაყოლებთ... ბრიტანული პასპორტის მქონე მოსუცხული თუ დეპრესიაში ჩავარდება, მას პენსიას უხდიან. ამ თანხით შეუძლია ყოველდღიურად რამდენიმე კაბა ლუდი დალიოს, სიგარაც იყიოს და ცხოვრებაში ცუდად არ გახდეს. პიაცაზე ხომ ნაგვიკითხავთ ნიგნები? აი, ასეთი ინგლისელი კაცები არიან ჩემი მეზობლები. ჩემს სახლში ცხოვრობენ რუსი, იტალიელი, ორი კონგოელი, სამოვარზე წამოსული ლიგერპულები. ჭრელია რა, არ არის სუფთა ინგლისელების ქალაქი, მაგრამ საინტერესოა.

განიცდის თუ არა მწერალი სხვა მწერლის ბავშვებს

როგორ არ განვიცდი მწერლების გავლენას. ჯერ კიდევ პატარა რომ ხარ და წერ, უკვე განიცდი მათ გავლენას. შენ რა იცი წერა რა არის, არც ამბავი არ იცი. ეს იმ მწერლების ბრალი კი არ არის, რომელსაც კითხულობ და გიყვარს, შენი ბრალია, იზრდები და ეს გავლენაც იცვლება. 19 წლის რომ ხარ, ყველაზე მაგარი მწერალი ჰემინგუეი გგონია, მაგრამ 39-ის რომ ხარ, ფიქრობ, ეს კაცი რამ გააგვიყა? 49-ისას, გინახია, რომ მესამე რაღაც იპოვე ისეთი, რასაც ნაკითხავ. სიმართლე გითხრა, ჩვენს დროს არ იყო ნიგნების ფუფუნება. ახალი ნიგნი ძნელი საშოვნელი იყო, ჩვენზე უფროსები, უფრო გავლენიანი ადამიანები, ლიტერატურასთან ახლოს მდგომი ხალხი და ინტელექტუალები შოულობდნენ. მე ჩვეულებრივ ნიგნებს ვკითხულობდი.

ისე, არავის დაუჯეროთ, თუ პირდაპირ არ იწერს ადამიანი, ირგვლივ ყველაფერი გავლენას ახდენს – ტელევიზორში რომ უყურებდა როგორ ჩამოახრჩვეს სადაც ჰუსენი, ერთმა ბავშვმა თავი ჩამოიხრჩო. მაგას ვერ აცდები... ვკითხულობდი სათავგადასავლო ნიგნებს, „მადამ ბოვარის“ არ ვკითხულობდი, მერე ერთხელ ნავიკითხე, ისიც ცოტა... მომწონდა და დღემდე მომწონს „განძობა კუნძულის“ სამი თავი, მერე აღარ ვარგა, ფუჭდება. კი არაფერს ვერჩი მწერლებს, უბრალოდ, აღარ გხვდება გულში. ასე ვერ გეტყვი, რომელი მწერალია საყვარელი, ყველა საყვარელია, ოსტატურია...

პარტოფილით სამსა ტომარა

სადღაც ვიყავი ერთხელ და იყიდებოდა ტომარა, გამყიდველმა ამისხნა, რომ საწყალი, ლატაკი ირლანდიელი ბიჭები სასწავლებლად რომ მიდიოდნენ, მამა გაუფხვებდა

მათ ტომარას კარტოფილით, ზურგზე აკიდებდა და ეტყოდა სექტემბერში: მოხამდე შენი ხმა არ გავიგონო – აი, შენ საქმელ-სასმელი და ისწავლე. ასეთი იყო ცხოვრება ირლანდიაში... კიდევ ერთი კარგი ანდაზა გავიგონე: სასმელი იმიტომ მოიგონეს, რომ ირლანდიელებს მსოფლიო არ დაეყუროთ.

...არ იცი, რომელი აინთება

წინასწარ არ იცი რა გამოვა, ისე მე მომწონს წერის პროცესი და არა შემდეგში... საერთოდ, ყოველთვის იცი, რომ უკეთესი უნდა დაგწერა. როგორ არის იცით, აი, ასანთის ღერებს რომ გაკრავ, ზოგი ინთება, ზოგი არა. ისე კი, ყველა უნდა აინთოს, ასეა ნაწარმოებებიც, არ იცი, როგორი გამოვა და რომელი აინთება. სრულყოფილება საერთოდ არსებობს? ყოველთვის არ გამოდის ისე, როგორც გინდა. ვერ ქაჩავ! ადრე უფრო საინტერესო იყო, ახლა არც ისე საინტერესოა, ცხოვრება სხვა რამე გამოდგა. ადრე უფრო ბევრი მინდოდა ხოლმე, ახლა – ნაკლები, ალბათ, ასაკის ბრალია.

პასიური დასვენება

ვისვენებ პასიურად, რესტორანში და თეატრში წასვლა არა გგონია დასვენება იყოს, ეს სერიოზული საშუალებაა... დასვენება არის, რომ წევხარ, ხმას არ იღებ და არ ფიქრობ. სხვანაირი დასვენება არ ვიცი. ეგრე იყო ილია ჭავჭავაძე. ნაკითხული მაქვს, რომ დაწერდა, ერთი კვირა იწვა, ხმას არ იღებდა და ეწოდებოდა... აბა, ორმოც ხინკალს რომ შეჭამ, ეს რა დასვენებაა, მერე იქიდან წამოხვალ, ბიჭები დაგხვდებიან, მერე მეზობლები მიგამატიყებენ და ა.შ. ეს დასვენებაა? ეს მუშაობაა, მართალია შენი სიამოვნებისთვის, მაგრამ მაინც მუშაობაა.

რა მიყვარს? ფეხბურთის ყურება მიყვარს, ბევრი კიდევ სხვა რამე მასთან დაახლოებული. კიდევ კრივი

მწერლის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

ისტორიულზე ვსწავლობდი, შეხება მქონდა მატინანესთან, გამოცდებსაც კი ვაბარებდით ამ მიმართულებით. მიყვარდა მეცხრამეტე საუკუნის ისტორია, შესაბამისად, იმ დროის გაზეთებს ვკითხულობდი ბევრს, ძალიან ბევრს, ახლა აღარ ვკითხულობ გაზეთებს, თორემ, იმდროინდელი პრესა სულ ნომრების მიხედვით მაქვს შესწავლილი. შესაბამისად, ისე ვლაპარაკობდი კიდევაც, სასაცილოდ, იმენით. ანუ როცა დავეწერე ნიგნი იმდროინდელ საქართველოზე, მიგზვდა, რომ ეგრე უნდა დამეწერა, ანუ არანაირად არ მოგზვადებულვარ ამისთვის. საერთოდ, რომელ ნიგნსაც როგორი ენა უხდება, ისე ვწერ. მიგზვდა, რომ ენა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი წერისას. არ მაქვს მუსიკალური სმენა, მაგრამ საოცრად შემეძლია ინტონაციის დამახსოვრება. ქართულ ნიგნებს რომ ვკითხულობდი, სულ მქონდა ისეთი განცდა, რომ ეს დიალოგები არ არის ნამდვილი, ადამიანები ასე ხომ არ ლაპარაკობენ. ისეთი ფრაზის დანერა არაფრით არ შემეძლო, მართალია, გრამატიკულად სწორია, მაგრამ ვიქრობ, რომ ტყუილია. ამიტომ გადავწყვიტე, ვწერო ისე, როგორც მესმის. ჩვენი ენა ბევრის საშუალებას იძლევა.

„სარბიელი“

„სარბიელი“ მუშაობის დროს საინტერესო რაც დამინერია, ეს იყო ნეკროლოგები. მახსოვს ჯოდი მაჯისი ნეკროლოგი, დიდი ბეისბოლისტი, ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი – როგორ გინდა დაწერო ამ ადამიანის ნეკროლოგი საინტერესოდ? ის მოხსენიებულია ყოველ მერე ამერიკულ რომანში. მაგრამ ამას მართლა ვახერხებდი, ნეკროლოგებს ვწერდი საინტერესოდ. მახსოვს, რომ ეს იყო დიდი შემოქმედებითი პროცესი, ეს არ იყო ნეკროლოგების წერა. ვწერდი ფეხბურთზე, არა რეპორტაჟულს, უფრო ვთარგმნიდი, ვწერდი ასევე პროფესიულ კრივზე, იმიტომ, რომ ბავშვობიდან მომწონდა კრივი. იმიტომ კი არ მომწონს, რომ ერთმანეთს ასისხლიანებენ, ადამიანი კრივის ყურებისას ყველფერს კარგად გაიგებ.

რატომ ააა მორჩილაქი?

სულ მარტივად, მაშინაც გაზეთში ვმუშაობდი. სიარული მეზარებოდა, არადა თუ არ იარე, ამბავსაც ვერ გაიგებ. მაინც მომიწია ამ სასიარულო ჟურნალისტიკაში ყოფნა. როგორც ხდება ხოლმე, როცა პატარა გაზეთია, იქ სამი ან ოთხი კაცი მუშაობს და ფსევდონიმებით წერა უწევთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროს ასე იყო. მე მქონდა ხუთი ფსევდონიმი, ერთ-ერთი იყო აკა მორჩილაქი. რა იყო დანარჩენი? რა მნიშვნელობა აქვს. ერთი ქალი რეკავდა ხოლმე რედაქციაში, ერთს ლანძღავდა ხოლმე და მეორეს აქებდა, არადა ორივე მე ვიყავი. მერე რამდენიმე ნიგნი დავეწერე და ეს ფსევდონიმი ავირჩიე.

„იბერიის ინციპლოაფიდიანა“ „სანტა ესპერანსაგა“

თავიდან გაზეთში იბეჭდებოდა, ვიგონებდი არარსებულ იმერეთს, ვითომ დამოუკიდებელი იყო, დანარჩენი საქართველო კიდევ საბჭოთა კავშირში იყო. მეუფრამეტე საუკუნის იმიტაციას ვაკეთებდი, მაშინ ნიგნებს არ ვწერდი, გაზეთში კი რასაც მინდა იმას ვაკეთებდი, მოკლედ, ვწერდი... ერთხელ ერთმა ჩემმა საყვარელმა მწერალმა ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, რომ გაზეთი იპოვეს, სადაც შევერეკლეს დროინდელი ციტატები... ძალიან შემრცხვა. ეს ადამიანი გამოვიყვანე და ვუთხარი, რომ ეს ციტატები მე დავეწერე-მეთქი. გამიბრაზდა და მომაცოლა შე... ოოო. ასეთი რამ დამემართა. შესაბამისად, ეს რეალობები როცა მოვიგონე, გარდაიქმნა ნიგნად... მიგზვდა, რომ ეს შეიძლება იყოს ნიგნი, მეტი არაფერი.

როგორ იწერა მისი სცენარები

სცენარის წერა დიდად არ მიყვარს, მაგრამ თავი ხომ უნდა შეინახო. პროფესიონალი სცენარისტი კიდევ სხვა არის, მწერლები, ძირითადად, ამას (დასამალი რა არის) შემოსავლის გამო აკეთებენ. ეგ სხვა პროფესიაა, ეგ უფრო მოსამსენია. ნიგნის წერას რომ ხარ მიჩვეული, ძალიან ძნელია წერო სცენარი, მაგალითად: შუადღე, სოფლის გზა. გამოვიღოს მანქანა, ოდნავ შეანელებს. შუადღე, სოფლის გზა, გაჩერებულ მანქანასთან მოდის... და ა.შ. ფოლკნერს რა, ეხალისებოდა სცენარის წერა?



ინგლისში ყველაზე სასურველი პროფესია

ინგლისიდან რომ ჩამოვედი საქართველოში, მიგზვდა, რომ ძალიან ცოტა ადამიანი წერს. იქ ყველა წერს, კაცი რომ ჯარიდან გადადგება, ჩათვალე, ერთ-ორ ნიგნს აუცილებლად დაწერს. იქ მწერლობა ერთ-ერთი ყველაზე სასურველი პროფესიაა, რაც ძირითადი მიზეზია იმისა, რომ ნიგნების გამოცემა ძალიან ძნელია.

მიყვარს, მაგრამ ძნელი ტელევიზორში ყურება. ისე, მე ტელევიზორი საერთოდ არ მაქვს. კრივის ყურება ყველაზე ძნელი მსოფლიოში. დიდი მელომანი არ ვარ, მარტივ რაღაცებს ვუსმენ... ვუსმენ სამოციანი წლების მუსიკას, რაც უფრო გულუბრყვილოა, მით უკეთესია. მაგალითად, ქანთრი მიყვარს.

გული სადამდეც მიდის, იქამდე წაღვიძრე...

ჩემი ნაწარმოებების ბოლო როგორია? ხშირად გამიგია, რომ დაუსრულებელია ან შუაში რაღაც აკლია... ამას განგებ არ ვაკეთებ... გული სადამდეც მიდის იქამდე ვერ ხოლმე. წიგნის დამთავრებაზე ერთ ასეთ რამეს მოვყვები - ჩემი ერთ-ერთი წიგნი „მესაიდუმლის ქამარი“ რომ გამოიცა, ტექნიკური შეცდომის გამო, 60 გვერდი, გადამწყვეტი თავები, აკლია. დღემდე ასეა გამოცემული, მაგრამ არავის არ უთქვამს, რომ აკლია.

როცა არ იცი, როგორ დაასრულო წიგნი, კარგია, შექსპირზე რომ იფიქრო... იქ ხომ წარმოუდგენლად მთავრდება სცენა - ჩანაწერი 27 გვამი. მოკლედ, როცა გაგიჭირდება და ერთ სცენაში გინდა ჩაატიო ყველაფერი, მაშინ უნდა გაგახსენდეს შექსპირი და უცებ მიაღებებ

ერთმანეთზე, შენც გული გაგიჩერდება და ხარ ასე სულ ნერვიულობაში.

სხვა მიზანი წერისას არ მაქვს, ყველა განცდა, რაც იქ ხდება, მეც მაქვს, ეს ჩემი პერსონაჟების თანაგანცდაა. მიყვარს ხოლმე ნაწარმოების ბოლო. ჩვენს ბავშვობაში ყველაზე მძაფრად მახსოვს საავადმყოფოს მიმდების სუნი, ძალიან სპეციფიკური. ასეთი მძაფრი განცდა მაქვს ხოლმე ნაწარმოების დასრულებისას. პერსონაჟებზე არ შემოიღია ვილაპარაკო თუ ვინ არიან, თითქოს, ჩემს თავზე ვწერ, აქ ხომ ყველა ყველას იცნობს - თელავში მამალი რომ დაიყვილებს, აქაც ხომ ისმის, თუ კარგად არ არის გათენებული.

რამდენი ხანი ვმუშაობ, ეს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარადაა. დიდი მწერლების შესახებ თუ ნაიკითხავ, დილით ადრე უნდა ადგე და დაიწყო წერა, ერთი 6 საათი მაინც უნდა იმუშაო. როგორც ვეროპის სამუშაო დღეა, დაახლოებით, ისე. მე ასე არ გამომდის, ხშირად მეტსაც ვმუშაობ. როცა სცენარებს ვწერ, აი მაშინ ღამეებსაც ვათენებ.

ყოფილა შემთხვევა, როცა ერთდროულად ვმუშაობ ორ ნაწარმოებზე, ეს, ძირითადად მაშინ, როცა

შეკვეთით მიწვევს წერა, სამსახურივითაა.

ჩვენაირად რომანებს მსოფლიოში არავინ არ წერს, სულ სხვანაირად ვწერთ, მეტი თავისუფლება გვაქვს წერის დროს. იქ ამდენი ფუფუნება არ აქვთ, უფრო ზუსტია ხოლმე ყველაფერი.

ველარ იჭერ ვინ ვის რითი სჯობია - საშუალოზე მაღალი დონე

NBA-სთვის თუ გიყურებიათ 25 წლის წინ და დღეს - აი, დაახლოებით ასეთი სხვაობაა ადრინდელსა და თანამედროვე ლიტერატურას შორის. დღევანდელი უარესი კი არ არის, შეიძლება რაღაცით უკეთესიცაა, ვეღარ იჭერ ვინ ვის რითი სჯობია. საშუალოზე მაღალი დონე გაჭედია.

დეტექტივებს და ასეთ რამეებს საერთოდ ვეღარ ვკითხულობ. მომწონს ერთი ჩილელი მწერალი რობერტო ბოლანიო, რომელიც გარდაიცვალა. ის ითარგმნა ინგლისურად. ძალიან კარგი წიგნები აქვს დაწერილი, თუ სადმე ნახავთ მის ნაწარმოებებს, გირჩევთ ნაიკითხოთ. ასეთი რომანი აქვს - „ბორტი დეტექტივი“, ძალიან მომწონს, ნაიკითხეთ აუცილებლად. საერთოდ, მე თუ მკითხავთ,

ფრანგები უნდა იკითხოთ ყველა დროის.

ახლა დეტექტივებს უფრო იმიტომ ვეღარ ვკითხულობ, რომ აღარ მაინტერესებს, წინასწარ ვიცი რა მოხდება, კინოები უფრო მიყვარს ამ ჟანრის. ჩემს შვილს დავსამ ხოლმე და ვნიძღავებთ, აი, ახლა რა მოხდება. იცი, როცა სცენარის წერას მიეჩვევი, მით უმეტეს, ერთ ან ორ ამერიკულ წიგნს ნაიკითხავ სცენარის წერაზე, უკვე იცი რა მოხდება, თუ ცოტა წარმოსახვა გექვს, საერთოდ! წიგნებს იმიტომ ვეღარ ვკითხულობ, რომ კითხვისას იმაზე კი ვეღარ ვფიქრობ, რა მოხდება, იმაზე ფიქრი მისწრებს, ეს როგორ დაწერა. ამიტომ აღარ არის საინტერესო, მიჭირს ამის აღწერა. რითი განსხვავდება ფრანგული ამერიკულისგან? ამას ვერ მოვყვები, რადგან შეგრძნებებით უფრო ვიგებ. ფრანგულზე სულ სხვას ვგრძნობ, ამერიკულში კი - სულ სხვას, მათ სხვაგვარი უნარი აქვთ. რაც ძველებში გიყვარს, იმას თუ იპოვი ახლებში, ვიხარია. აი, ამ ტიპის მკითხველი ვარ. სტენდალს, კორტასარს რომ ნავიკითხავ, სულ სხვა შეგრძნება მიუფლავს, მიყვარს, სულ ვკითხულობ... ინგლისელები ასეთ წიგნებს ვერ წერენ. წერენ ვაშლებზე, ძაღლებზე...

თანამედროვე ქართველ მწერლებზე ვერაფერს ვერ ვიტყვი რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი ის არის, რომ არ ვარ აქტიური და გადევნებული მკითხველი, მეორე - ბევრი ჩემი ბავშვობის მეგობარი ან ახლო მეგობარია; მესამე - ზოგი ნათესავია... მეოთხე - უბრალოდ, კარგი ადამიანია. ჰოდა, ახლა რომ დავიწყო, ეს იმიტომ არ მომეწონა ან ეს იმიტომ მომეწონა... ამას მირჩევნია, საერთოდ არ ვიკითხო, ვიყო ასე ჩემთვის ტყბილად და ამ შეკითხვასაც პატიოსნად ვუპასუხო.

ბავიარა, მამარა სხვაბან აღმოჩნდა

თბილისი მომენტარა, ძალიან მომენტარა, ასე იშვიათად თუ მომენტარება რამე ცხოვრებაში; მეც უკან მობრუნება მინდა, მაგრამ მეუბნებიან, არ არის ეგრეთ, გაიარე და გაიარეო, გაიარე, მაგრამ სხვაგან აღმოჩნდა. მოკლედ რთულია. ნასვლა რამ განაპირობა? რამდენიმე ფაქტორი იყო, პირველი და ბოლო ერთი და იგივეა - რაღაც არ მომეწონა საშინლად - ჩემი, სხვაში, ეგ არ ვიცი. რაღაც, ყოველდღე რომ დავდიოდი, ის აღარ იყო...

ლალი ჯეილაძე

ინფორმაცია

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დალი ხომერიკი, აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები ეწვივნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „თანადგომა“ ოფისს, სადაც ერთობლივად დაამზადეს სააღდგომო მისალოცი ბარათები. სამშვიდობო სურვილები მოსწავლეებმა პატარა ბარათების სახით ერთიან წერილზე დატოვეს და, სააღდგომო კვერცხებთან და ტკბილეულებთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზ და ქართველ ბავშვებს გაუზავნეს. იქვე მოეწყო სააღდგომო თემურ შექმნილი ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

აქცია მნიშვნელოვანი იყო, რადგან აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს ენგურს გაღმა მცხოვრები თანატოლებისთვის ბრწყინვალე დღესასწაულის მილოცვის შესაძლებლობა მიეცათ, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს აფხაზი და ქართველი ბავშვების დამეგობრება-დაახლოებას.

ლონისძიება არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა-მასთან“ თანამშრომლობით ჩატარდა.

აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლების მოსწავლეები და კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს ეწვივნენ.

ლონისძიების ფარგლებში, მათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრი დაათვლიერეს და გაეცნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო და სამაშველო ფუნქციებს, კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში განათლების მიღების პერსპექტივებსა და სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის შესაძლებლობებს.

საგანმანათლებლო შეხვედრა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროგრამის მიზანია მოზარდების ინფორმირება სამშვიდობო განათლებისა და სამხედრო ძალების სამშვიდობო ფუნქციების შესახებ, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მომავალი პროფესიის არჩევანზე.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით, გაიმართა ახალგაზრდული კონფერენცია „ზურაბ ანჩაბაძე - ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“. კონფერენცია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა.

დალი ხომერიკი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი: „აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ხედვების ჩამოყალიბებას ქართველთა და აფხაზთა მეგობრული ურთიერთობების შექმნის ისტორიული ფაქტების შესახებ, მოზარდები, ასევე, შეიძენენ კვლევისა და ისტორიულ წყაროებზე მუშაობის გამოცდილებას“.

ლედი ჯალალონია, აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მოსწავლე: „ჩემს ნაშრომში გამოვიყენე იმ ადამიანების მოგონებები, რომლებიც პირადად იცნობდნენ ბატონ ზურაბს. კვლევის დროს მოვიპოვე ძალიან საინტერესო, აქამდე ჩემთვის უცნობი ისტორიული ფაქტები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე“.

გიორგი ანჩაბაძე, ზურაბ ანჩაბაძის შვილი: „ძალიან მიხარია, რომ აღნიშნული კონფერენცია ზურაბ ანჩაბაძეს უკავშირდება. იმ თაობისთვის, ვინც ვერ მოესწრო ქართველთა და აფხაზთა ერთობლივ თანაცხოვრებას, აღნიშნული ღონისძიება აფხაზეთთან ცოცხალი კავშირის შენარჩუნებაა“.

ზურაბ ანჩაბაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს: პროფესორმა ზურაბ პაპასქვიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ისტორიკოსმა ჯემალ გამახარამ, ზურაბ ანჩაბაძის კოლეგამ გრიშა შარია. აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა საკუთარი ნაშრომებიდან ამონარიდები ნაიკითხეს.

კონფერენციის დასასრულს, საუკეთესო თემის ავტორებს სამახსოვრო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე შეხვდა ლატივის ქალაქ რივის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის მოადგილეს ვლადი ეგლეს, ტურიზმისა და კულტურის სამსახურის წარმომადგენელს ივეტა ქრემანეს

და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებს. საუბარი შეეხო ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვასა და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების ამუშავებას, ჩვენი ქვეყნების ტრადიციებისა და კულტურის უკეთ გაცნობის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე სამინისტროში შეხვდა და მოპოვებული წარმატება მიულოცა ევროპის ჩემპიონსა და პრიზიორებს.

ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი სამბოში გახდა შორენა შარაძე, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში რუსი სპორტსმენი სვეტლანა ბარულინა დაამარცხა. ძალოსნობაში, ორჭიდის ჯამში, ვერცხლის მედალი მოიპოვა გია მაჭავარიანი; ატაცში მცირე ბრინჯაოს მედალი - ირაკლი თურმანიძე. სპორტსმენები ლონდონის 2012 წლის ოცდამათე ოლიმპიური თამაშებისათვის ლიცენზიის მოსაპოვებლად აგრძელებენ ვარჯიშს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით, აღნიშნულ სპორტსმენებს გადაეცემათ ერთჯერადი მატერიალური ჯილდოები.



წიგნის კითხვის დღესთან დაკავშირებით, ლიტერატურულ კავშირში „ქარაფანი“, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები, მნიშვნელოვან როლს შეასრულეს მწერალ გურამ ოდიშარია. გაიმართა მისი ცნობილი წიგნის „სოხუმში დაბრუნება“ განხილვა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ თბილისში მდებარე აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლები, ხოლო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მდებარე აფხაზეთის საჯარო სკოლები on-line რეჟიმში ჩაერთვნენ.

შეხვედრის მიზანი იყო აფხაზეთის მოზარდებში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, ნაწარმოებების განხილვის კულტურის ჩამოყალიბება, აფხაზეთის თემის აქტიულობისა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ღვაწლმოსილი პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოჩენა.

პროფესიით ისტორიკოსი და ფილოლოგი გურამ ოდიშარია აფხაზეთის მწერალთა კავშირის მრჩეველი იყო და სოხუმში აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1987 წლიდან, სოხუმში, ჟურნალ „რინას“ რედაქტორობდა. მისი წიგნი „სოხუმში დაბრუნება“ ხუთჯერ გამოიცა და ქართველებსა და აფხაზებს შორის მოლაპარაკებების ერთ-ერთ საფუძვლად იქცა. მწერალს უამრავი აფხაზი მეგობარი ჰყავს და მათთან ურთიერთობას დღესაც აგრძელებს. სჯერა, რომ ადამიანური ურთიერთობის კარი არასოდეს იხურება.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, ნ. კანდელაკის სამხატვრო სკოლაში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით საჯარო სკოლების მოსწავლეებმა სააღდგომო კვერცხები მოხატეს.

ამ ღონისძიებაში შვილთან ერთად მონაწილეობდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე, მინისტრის პირველი მოადგილე ლამზირა ბოლქვაძე და სამინისტროს სხვა თანამშრომლები.

24 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, სამინისტროს თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ერთად, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მისალოცად წმიდა ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანის მოხუცებულებს, მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის, ურეხის ბავშვთა სახლისა და წმიდა მატათა მოციქულის გიმნაზია-პანსიონის აღსაზრდელებს ეწვივნენ და გადასცეს სააღდგომო საჩუქრები, მათ შორის - თავიანთი ხელით მოხატული კვერცხები.

საგანმანათლებლო ქარა

საჩხუბრის სკოლის ისტორია

ანდაზად თქმულა, „ჩიტი სადაც დაიბადე... მისი ბაღდათი იქ არისო“, ისიც გამიგონია, „მთის ჩიტი მთას შეაკვდაო“.

სოფელში დღესდღეობით ფუნქციონირებს საბაზო სკოლა, რომლის კედლებშიც მრავალი ღირსეული ადამიანი აღიზარდა.



გადოების გამგეობას ჩვენი მხრისკენაც მოექცია ყურადღება და რამე ენამლა (გაზეთი „კვალი“, 1898 წ., №32).

ამავე ავტორის მოწმობით ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა სოფელ მექვენიციც: „მთელი წლობით რომ დარჩეთ აქ, სწავლა-განათლებაზე ლაპარაკსაც ვერ გაიგონებთ, აქაური მცხოვრებლებს საქმეა უზომოდ ღვიზის სმა, ერთმანეთის ცემა-ტყეპა და ათასნაირი ოინები. ერთი სიტყვით მობრძანებით ამ სოფელში და თვალწინ წარმოგიდგებათ XVI-XVII საუკუნე“ (გაზეთი „კვალი“, 1899 წ., №4).

ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებს შორის საჩხუბრი ყველაზე გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, რადგანაც საბაზრო და საგუბერნიო ცენტრებიდან ყველაზე დიდი მანძილით იყო დაშორებული; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ირგვლივ არსებული სოფლების - ლეხიდრისთავის, ჩორთისისა და ჭეშმელეთისათვის საჩხუბრი გარკვეულწილად ცენტრის ფუნქციას ასრულებდა.

სკოლის გახსნის ინიციატორად მოგვევლინა სოფელ დღნორისის მკვიდრი, ქუთაისის საემოქალაქო სასწავლებელდამთავრებული ეპიფანე ასათიანი, რომელმაც შემდგომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მიერ დანიშნულ გამოცდაზე მიიღო საექსპლუატაციო-სამრეწველო სკოლის მასწავლებლის წოდება. იგი დიდი ერთუზიანებით შეუდგა განზრახული კეთილშობილური საქმის სისრულეში მოყვანას.

ამჟამად სახეზეა ორივე სქესის ბავშვები, რომელთაც სურთ შევიდნენ ახლადგახსნილ სკოლაში. მასწავლებლად ჩემს მიერ მოწვეულია უახლოესი სოფლის - დღნორისის მცხოვრები (1 ვერსის მანძილზე) რომელსაც აქვს მასწავლებლის წოდების მონაწილეობა, კეთილსაიმედოა და ხალხის მოყვარული ეპიფანე დორეთის ძე ასათიანი (გ. ძნელაძე, გაზეთი „წყალტუბო“, 10.04.2008 წ.).

იმერეთის ეპარქიის სასწავლო საბჭომ დააკმაყოფილა მღვდელ ლუკა ასათიანის თხოვნა და 1913 წლის 1 სექტემბრიდან ეპიფანე ასათიანი დაინიშნა საჩხუბრის დაწყებითი სამრევლო სკოლის მასწავლებლად. აი, რას წერს ეს უკანასკნელი აღნიშნული მოვლენის შესახებ: „1913 წლის მარტიდან შევედეთ საჩხუბრის სკოლის დაარსების საქმეს. ჩემთან ერთად ამ საქმისათვის ზრუნავდნენ აკოფა ლუკას ძე მანაგაძე და მღვდელი ლუკა ასათიანი.“

მარტის დამდეგს მოვიწვიეთ მამასახლისი თეოდორე კობრიაძე, რომელმაც მოახდინა სოფლების - საჩხუბრის, ლეხიდრისთავისა და ჩორთისის მცხოვრებთა ყრილობა. ხალხმა მოითხოვა სკოლის გახსნა და ამის

შესახებ დაინერა ოქმი, რომელიც მღვდელ ლუკა ასათიანის მოხსენებასთან ერთად გადაიგზავნა იქ, სადაც საჭირო იყო. სკოლის გახსნის ნებართვა მივიღეთ, მასწავლებლად მე დანიშნა მთავრობამ, მზრუნველად აკოფა მანაგაძე, რომელიც იმავე წელს დააჯილდოვეს მედლით.

აპრილში დავარღვიეთ ძველი ხის ყოფილი ეკლესიის შენობა, რომლისგანაც აშენდა მხოლოდ სკოლის კედლები, დანარჩენი მასალა იატაკ-ქერისათვის და ყავარი სახურავად მივიღეთ ტყის მცველის დავით ახვლედიანისგან უსასყიდლოდ, მასალა კი სოფელმა დააბოძა. სკოლის შენობა 15 ავეჯისთვის მზად იყო, მანამდე კი აპრილსა და მაისში ბავშვებს ვამეცადინებდი ივანე და სოფო მანაგაძეების სახლში... სკოლა სოფელმა ააშენა და შვინი იწვევტავი სკოლისათვის მე შევიძინე საკუთარი ჯიბის ფულით.“

წარმოიდგინეთ, როგორ ფანატიკურად უნდა ყოფილიყო შეყვარებული მასწავლებელი თავის პროფესიაზე, რომლის ჯამაგირიც ძალზე დაბალი იყო და მისი მიღებაც სოფლის მცხოვრებთა გადასახად იყო დამოკიდებული და ამ დროს იგი საკუთარი სახსრებით იძენს პროფესიისთვის „16 ცალ მერხს, ორ მაგიდას, ხუთ სკამს, ერთ სატრიალებელ საკლასო დაფას, ერთ დაბალ კარდასა საბუთების შესანახად და 42 ნაჭერს მინას ფანჯრებისათვის“. მასწავლებელთა ხელფასებთან დაკავშირებით საინტერესოა 1896 წლის გაზეთ „კვალი“ დაბეჭდილი წერილი, სათაურით „ლეჩხუმი“, რომლის ავტორი „დროებით ლეჩხუმელ“ წერს: „ლეჩხუმის სკოლებიც ცუდად არიან მოწყობილი, შენობები არ ვარგა, მასწავლებელი მატერიალურად დამოკიდებულია სოფლის მამასახლისზე, რომელიც ოთხ-ხუთ თვეში თუ ჩააბარებს ჯამაგირს. ეს უკანასკნელი არასოდეს არ აღემატება ორ თუმანს.“

ლეჩხუმის მაზრის სკოლები პერიოდულად მონმდებოდა, როგორც კავკასიის სასწავლო ოლქის, ისე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექციების მიერ, სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შემოწმების მიზნით. აი, ერთი ჩანაწერი ასეთი რევიზიისა: „1914 წლის მარტის 12 რიცხვში რევიზია ჩავატარე საჩხუბრის ახლადგახსნილ სკოლაში. სკოლაში სამი განყოფილებაა 51 მოსწავლით. გამოკითხე ბავშვები ყველა საგანში და მათი პასუხით დავრჩი კმაყოფილი. თვალნათლივ სჩანს მასწავლებელ ეპიფანე ასათიანის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სკოლისადმი“. აქვს ხელს აწერს ლეჩხუმის მაზრის ზედამხედველი ბლაღოჩინი მღვდელი მუსხრიძე.

1917 წელს ეპიფანე ასათიანმა და სოფელ ლეხიდრისთავის მკვიდრმა ივანე ლუკას ძე ასათიანმა, რომელიც იმხანად დღნორისის ოთხკლასიანი საექსპლუატაციო-სამრევლო სკოლის მასწავლებელი გახლდათ, ურთიერთშეთანხმებითა და მთავრობის ნებართვით ადგილზე შეუქმალეს ერთმანეთს: ეპიფანე გადავიდა დღნორისაში, ივანე კი - საჩხუბრში და ორივე მათგანმა კვლავ განაგრძო აქტიური პედაგოგიური საქმიანობა.

როგორც ცნობილია, 1917 წელს რუსეთის იმპერია რევოლუციური ქარიშხლის ტალღებში გაეხვია. მას ამ პერიოდში ნაკლებად ეცალა საქართველოსთვის, რამაც განაპირობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება. თურა შეიცვალა დამოუკიდებლობის წლებში საჩხუბრის საექსპლუატაციო-სამრევლო სკოლაში, ამის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება. დადასტურებულია მხოლოდ ის ვიცით, რომ აღნიშნული სკოლის პედაგოგი ივანე ასათიანი იყო ერთ-ერთი მონაწილე 1924 წელს ქართველ პატრიოტთა მიერ ქვეყნის დამოუკი-

დებლობისათვის მომზადებული აჯანყებისა. ეს აჯანყება, როგორც ცნობილია, მიუღწეოდა საქართველოში ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო. ივანე ასათიანი, თავის ორ ძმასთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, ბოლშევიკური რეჟიმის დამხობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ავანგარდში ჩადგა, რაც ძვირად დაუჯდა მის ოჯახს: ამბოხების მონაწილე სამივე ძმას ხელისუფლება მხეცურად გაუსწორდა და ისინი სოფლიდან საკმაოდ მოშორებით, ნარლოვის მიდამოებში დახვრიტეს. მათი ცხედრები მამამ - მღვდელმა ლუკა ასათიანმა, მთავრობისა და ხელისუფლების მესვეურთაგან მალულად, ურმით ჩამოასვენა და ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მიაბარა მიწას.

ამ წლებში, საჩხუბრის სკოლაში, პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს აკაკი აკოფას ძე მანაგაძე და მისი მეუღლე ნონა ასათიანი. ისინი ათწლეულების მანძილზე მოღვაწეობდნენ აღნიშნულ სკოლაში და მრავალი ღირსეული თაობის აღზარდველები ყოველთვის ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცულნი. იმ პერიოდში, საჩხუბრის სკოლა ოთხკლასიან სასწავლებელს წარმოადგენდა და მდებარეობდა ე.წ. „საელი გორაზე“, რომელიც სოფელში ერთ-ერთ ყველაზე შემაღლებულ ადგილს წარმოადგენდა და იქიდან ხელისუფლებით არაჩვეულებრივად ლამაზი პანორამა ახლომდებარე სოფლების - ჭაშმელის, ლეხიდრისთავის, დღნორისის და თეთი საჩხუბრისა. დღესდღეობით, ამ გორაკზე ერთადერთი, ოღონდ შემორჩენილი სახლი დგას, რომელიც სოფლის ამაგდარ და ლანდოზისილი ექიმს, ან განსვენებულ გალაკტიონს სეფანას ეკუთვნის.

1937-38 წლებში საჩხუბრის ოთხნობიანი სასწავლებელი გადაკეთდა შვიდნობიან სკოლად, რომლის პირველი დირექტორი გახლდათ სოფელ მექვენის მკვიდრი ვლასი ნემსაძე. მისი მოღვაწეობის წლებში სოფელში აქტიურად გაჩაღდა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინრობის აღიკვეთად. ჩამოყალიბდა ლამის ე.წ. „ორმის სკოლა“, რომელშიც ძირითადი გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დღის მერვე ნახევარში, წერა-კითხვის (ზოგჯერ კი - ხელმოწერას) სწავლობდნენ ხანდაზმული ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე, სკოლის არარსებობის ან ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, ვერ მიიღეს მიწიმაღალი განათლება.

1940-42 წლებში საჩხუბრის შვიდნობიან სკოლას ხელმძღვანელობს სოფელ დღნორისის მკვიდრი გრიგოლ კახიძე. იგი 1942 წლიდან სხვა სამუშაოზე გადადის სოფელ ნამოხვანში. სკოლის დირექტორად კი ინიშნება ისევე დღნორისის მკვიდრი დავით ასათიანი, რომელიც მანამდე ტყბულში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მისი დირექტორობის პერიოდში საჩხუბრის 7-ნობიანი სკოლა გადაკეთდა 8-ნობიანად.

დავით ასათიანი 1946 წელს სამუშაოდ გადადის მშობლიური სოფლის, დღნორისის საშუალო სკოლაში, ხოლო საჩხუბრის რვანობიანი სკოლაში ერთ წელიწადში ორი დირექტორი გამოიცვალა - ჯერ დირექტორად დაინიშნა სოფელ დღნორისის მკვიდრი სვიტლანა, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ერთ თვეში, პირადი განცხადების საფუძველზე, გათავისუფლდა სამსახურიდან, ხოლო მომდევნო დირექტორი ლენა ოყერშიძეც მხოლოდ რამდენიმე თვე ხელმძღვანელობდა სკოლას.

1946 წლის სექტემბრიდან საჩხუბრის რვანობიანი სკოლის დირექტორი ხდება სოფელ ლეხიდრისთავის მკვიდრი გრიგოლ მანაგაძე. მის სახელთანავე დაკავშირებული საჩხუბრის ახლანდელი ქვით ნაგები სკოლის აშენება, რომლის დაწყებასაც საფუძველი დავით ასათიანის დირექტორობის დროს ჩაეყარა. სკოლის ახალი შენობა 1946-47 წლებში აიგო ე.წ. „კიბულის ქვით“, რომელსაც იქვე მახლობლად, მდინარე კიბულის ხეობაში მოიპოვებდნენ. სკოლის აგებაში 4 სოფლის - საჩხუბრის, ლეხიდრისთავის, ჭაშმელისა და ჩორთისის კოლმეურნე-გლეხები მონაწილეობდნენ, კალატოზებადც ადგილობრივი კირითხურები - ალექსი, ანთიმოზ, შალვა, ევტეხი, ერმალი, ვალიკო ძნელაძეები, ბიქტორ ხვადაგიანი, დურგალი სტეფანე ფრუიძე და სხვები მუშაობდნენ.

მათ გასამრჯელოდ თანხა არ ეძლეოდათ, მხოლოდ დღიურები ეწერებოდათ. სკოლის მშენებლობის წლებში სასწავლო პროცესი რომ არ შეწყვეტილიყო, ბავშვებს მეცადინეობა უტარდებოდათ სოფლის ცენტრში მცხოვრები გლეხების - ალექსი, ანთიმოზ, იუსტინე და არტემ ძნელაძეების ოჯახებში.

„პური რვენი არსობისა“

აღნიშნულ წლებში და შემდგომ პერიოდში, საჩხუროს რვანლიან სკოლაში, ზემოხსენებული 4 სოფლის მოსწავლეები სწავლობდნენ. 1949 წელს კი, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, სოფელ ჩორთისის მაცხოვრებლები გადაასახლეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - გულრიფშის რაიონში და საჩხუროს სკოლაში მხოლოდ სამ სოფელში - საჩხუროში, ლეხიდრისთავსა და ჭაშლეთში მაცხოვრებელი მოსწავლეები დადიოდნენ გასული საუკუნის 80-იან წლებამდე. შემდგომ წლებში კი, ჭაშლეთის დანაწილებით სკოლა სოფელ დღნორისის ფილიალი გახდა და იქაური მოსწავლეები, ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლას დღნორისაში აგრძელებდნენ.

საჩხუროს სკოლას მხოლოდ სოფელ ლეხიდრისთავის დანაწილებით სკოლის ფილიალი შემორჩა. 2005 წელს, მოსწავლეთა კონტინგენტის არყოლის გამო, აღნიშნული ფილიალი დაიხურა.

1952 წლიდან 1958 წლამდე საჩხუროს სკოლას ხელმძღვანელობს ქუთაისის მკვიდრი ნოე კეზევაძე, 1958 წლიდან კი - ნორა ცხვედიანი. 1959 წლის იანვრიდან საჩხუროს არასრული საშუალო სკოლის ისტორიაში „ახალი ხანა“ იწყება. სკოლას სათავეში უდგება ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული, სოფელ საჩხუროს მკვიდრი - გრიგოლ ეგნატეს ძე ფრუიძე. ეს ენერგიული და პრინციპული ხელმძღვანელი, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ხევის-ბერევით ედგა სათავეში მშობლიური სკოლის პედაგოგიურ კოლექტივის და სკოლა, მიღწევებითა და დისციპლინით, ყოველთვის სამაგალითო იყო მთელ რაიონში. 2004 წლიდან დღემდე სკოლას ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურის ავტორი, სოფელ საჩხუროს მკვიდრი, დირექტორების გამოცდებზე წარმატებამდნეული, პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტი გოჩა ძნელაძე. სამწუხაროდ, სკოლაში, დღეს-დღეობით, მხოლოდ 7 მოსწავლეა - თამარ, ირმა, რუსიკო, და ლიკა (ანა) ძნელაძეები, ლუკა, მარიამ და ლიკა გაბადაძეები.

მათი სწავლა-აღზრდის საქმეს 10 პედაგოგ-თანამშრომელი და ორი ტექნიკური მუშაკი ემსახურება. აი, ისინი: დირექტორი - გოჩა ძნელაძე, პედაგოგები - ავალო ძნელაძე, ავთო დიმიტრიძე, ნაზირიძე, ნაზირიძე, ლელოძე, ლუდა მინდიაშვილი, ჯუღრა ხვადაგანი, ინეზა გუგავა, ნათია ბობოხიძე, მარინა დარსაველიძე, ბულაღტერი - ნათია მიქაუტაძე, დარაჯი - ზაურ მანაგაძე და დამლაგებელი ელენე ჭოხონელიძე.

საჩხუროს სკოლას, როგორც საქართველოში არსებულ სხვა სკოლებს, დღეს საჯარო სკოლის სტატუსი აქვს მინიჭებული. უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური კოლექტივი მადლიერებას გამოხატავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ მცირეკონტინგენტიანობის მიუხედავად, სკოლას მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში დაფინანსებასთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული სირთულეები არ შექმნია. ასევე, თანადგომასა და მუდმივ მხარდაჭერას ვგრძნობთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან.

წინასწარ გვინდა მადლობა გადავუხადოთ თბილისის 51-ე და 23-ე საჯარო სკოლების დირექტორებს, ბატონ დავით ლავილაშვილს, „საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანების“ ხელმძღვანელს და ბატონ თემურ კიკნაძეს, რომლებმაც გარკვეულწილად შევფობა აიღეს რაიონის ამ ყველაზე მცირეკონტინგენტიან სკოლაზე და სამომავლოდ ყველაწარს თანადგომას შევპირდნენ.

გვაქვს ერთი პრობლემაც, რომელსაც ჩვენი მწირი ფინანსური რესურსებით ვერანაირად ვერ გავუმკლავდებით - სკოლის შენობა თითქმის 70 წლისაა და კაპიტალური რემონტი არასოდეს ჩატარებია, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია შენობის სახურავი, ბევრგან წყალი ჩამოდის, ხოლო შიდა საყრდენები ისეა დასუსტებული, რომ ჩვენი მალაქმიანი სოფლისათვის დამახასიათებელი დიდთვლობისას ძლივს ვახერხებთ მის შენარჩუნებას. მომავალ სასწავლო წელს საჩხუროს საჯარო სკოლა იუბილარია - დაარსებიდან 100 წელი ურსულდება. იქნებ გამოინახოს ფინანსური რესურსები, რომ საუკუნეს მიღწეულმა სკოლის „ჭალარა“ შენობამ თავზე „საკადრისი ქუდი“ დაიხუროს.

გოჩა ძნელაძე
საჩხუროს საჯარო სკოლის
დირექტორი

72-ე სკოლაში დარბაზისკენ მიმავალი დერეფანი ბავშვების მიერ „მოყვანილი“ ჯეჯილით გამწვანებულიყო. მოსწავლეებს ხელშიც ჯეჯილი ეჭირათ და დარბაზისკენ მიმავალ სტუმრებს „მწვანე ხეივანში“ უნდა გაევილოთ. როგორც კი დარბაზი შეივსო, ხეივანი დაიშალა და ბავშვებმა სცენა დაიკავეს სიმღერით: იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი გახდი ყანაო, იკურთხოხ იმის მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანაო.

სცენა იფარება სააღდგომო ჯეჯილით. შემოდინ პირიმზე, გუთნისდედა, ბერიკები, ქოსატყუილა.

პირიმზე (ლიზი ხანატყუოვი): ვინა ხართ, საიდან მოხვედით?

გუთნისდედა: თქვენი ზღაპრებიდან, თქმულებებიდან, ლექსებიდან. ვავიგეთ, რომ პურის ზეიმი ექონდათ და გეწვიეთ. პირიმზე: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

სიმღერის - „ოროველა“ ფონზე ხალხური ლექსებით გაბაასება იწყება.

გუთნისდედა (ვალერი ფონდარენკო): გადი, გამოდი, გუთანო, ლირლიტავ ბანი უთხარო, სახნის-საკვეთს გაუსვი, რომ კაჭაჭს ძირი უთხარო, ნიშავ ნიკორას გაუსვი, მაგას მოაბი მხარია, მეხერც, გაუკარ შეინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია. გააჭიმინეთ ჯამბარა, დამღერეთ „ოროველა“, გადამავეთ მინდორი, რომ დაგნატროდეთ ყველაო.

ქოსატყუილა (სერუ საროიანი): სანთლის გუთანს ვაგაკეთებ, შიგ შევებამ უღელ დევსა, ზღვაში ეხნავ და ზღვაში ვთესავ, მშრალზე ვინადირებ თევზსა. ყინულზე კალის გავლენავ, მორევში გადაყვრი ქერსა, ჭინჭველას გოდორს ავკიდებ და ბერებს დაუყვრი ზუსსა.

სცენაზე ჩნდებიან „სარველები“, „ყაყაჩოები“, „ლილილოები“. ცეკვავენ და ჯეჯილს უახლოვდებიან. ბავშვები მივარდებიან და ისინიც კულამოქუბულნი გარბიან.

პირველი ბერიკა (ნინო მსითური): ყანაო, ჩემო ყანაო, ოქროსა გეგხარ განაო, მზე, ნვიმა გზრდის მალაო, თავთავსა ივსებ ჩქარაო.

მეორე ბერიკა (ალიკა იაგრიანი): ბიჭო პური შემოსულა. ლელავს, ბზინავს ოქროსფერად, უფლის თვალი შიგ ტრიალებს, მოდით ნახეთ თუ არ გვერათ, ნამგლებს პირი გავუღუსთ, გადავიქცეთ მთლად სიმღერად, შიგ ნუ ჩავენვავთ ცოდვა არის, ნუ გავხდებით ჩვენი ხეთის მტერად.

მესამე ბერიკა (ბელა ენგიბარიანი): ორმოში პური ჩავყარე, ზედ დავაყარე ქერია, ერთი თავი შემეჩვია, ამალეზინა ხელია, დავიჭირე, ბერიკ ვცემე, კულზე მოვაბი წნელია.

მეოთხე ბერიკა (დავით ნოვრუზოვი): ნისქვილს საფეკვაი წავიდე, ავკიდე სამსა კატასა, წინ თავი შემიმეყარენ, ჩამოსხდნენ ალაგ-ალაგსა, მესამე მეშუქრებოდა, კიდევ დათესავ ყანასა?! ისე მოვიჭამთ ერთიან, ცელს ვერ ავლებდე ჩალასა.

მეხუთე ბერიკა (ნიკა ჩიკა): შენ ამოდი ზენა ქარო, უნდა ხვავი ვახორნარო, გამოვაცხო თბილი პური, ყმანვილები გავახარო.

პირიმზე (ლიზი ხანატყუოვი): სოფელში რამდენი ავადმყოფი, უპატრონო, საბრალო დედაბერი ცხოვრობს... ქართველი ხალხი არც იმით ივიწყებდა და ასე დაგვიტოვეს შესანიშნავი ხალხური ლექსი - „საბრალო დედაბრისასა“, სადაც ნათლად ჩანს, რამხელა შრომა და გარჯა სჭირდება, პური რომ ჩვენამდე მოვიდეს.

ბერიკები ერთმანეთს ცვლიან და კითხულობენ ამ ლექსს:

საბრალო დედაბრისასა თავი ყანასა მკიანო, ლომნი უგრებენ ულოსა და ვეფხვი შეუკვრიანო, დევი, ურემსა აბიან, ირემნი ძნასა ჰყრიანო, შველი კვერბში შემბულან, კალოს გარს დაბენიანო, ზედ ანგელოზნი უსხედან, ტუბილ ხმაზე დასახიანო, ჭინკები მარდად უქცევენ, ყანასა გაჰფოტახიანო, ტახნი მისწვენ კალოსა, მელები კუდით გვიანო, ნერონი ანიავენენ და ბატნი დაჰკაზმიანო, დათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში ყურსა ჰყრიანო, მგლები ნისქვილში გაგ ზავნეს, პურს მალე დაუფეკვიანო, შაში ფეკვილს ტვიცავს, გნოლი ჰზელს, კაჭკაჭნი ამოჰყრიანო, ვარიები ამზადებენ, იხენი სუფრასა შლიანო, ზეცას ტოროლა დაგ ზავნეს, ფრინველი მოჰკრიბიანო, შეს მაღლსა, ჩხიკვი ნუ გინდა, სუფრასა ავიშლიანო, სილაზაზითა ხობობი შუაში ჩაისვიანო,

ბულბული გალობისათვის სულ თავსა დაისვიანო, სანყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო, ერთად სვენ, სჭამენ, ლხინობენ, ჰარალეს დასახიანო.

ფრინველების თეატრალიზებულ კოსტუმებში გამოწყობილ მოსწავლეებს გამოაქვთ დიდი შოთის პურები. ისმის სიმღერა „იზარდე მწვანე ჯეჯილო“. სიმღერისა და მუსიკის აკომპანემენტით პირიმზე ხმამაღლა კითხულობს ლექსს:

პურმა სთქვა სახელქებულმა, მე ვარ ყველაში ქებული, კაცი უჩემოდ არ ვარგა, არც გლეხი, არც დიდებული.

თითქოს დასრულდა ზეიმი. მოსწავლეებმა ჯეჯილის ქოთნები გაიტანეს. რამდენიმე წუთში სცენა მე-4 და მე-4 კლასის ბიჭებმა დაიკავეს. ბურთის თამაში დაიწყო. კახეთიდან ჩამოსული გლეხი (X კლასის მოსწავლე ოთარ ბასილაძე) ბიჭებს მიუახლოვდა და გაოგნდა. იქნებ თვალი მატყუებო, როცა დარწმუნდა, რომ ბურთი პური იყო, უცებ მობურთალთა შუაში აღმოჩნდა. ბიჭები თამაშს ჩაუქლებდნენ... ერთ-ერთმა გვერდით რომ გაუქროლა, გლეხმა ხელი სტაცა.

- ნადი, ის ბურთი მომიტანე! - მრისხანე ხმა გაისმა.

- რა გინდა ჩემგან! - აყვირა ბიჭი. მაშინ, როცა ხალხი შემოეხვია, გლეხმა ბიჭი მაგრად შეანჯღრია.

- რაშია საქმე, რატომ უყვირით?

გლეხმა კახური სიდიხით, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, თავისი სადარდელი გადაუშალა: „ერთი ეგეთი დარდი მაზის გულზე, რომ ან უდროოდ საფლავში ჩამაგდებს, ანდა სამუდამოდ ხელს მალეზინებს ხენა-თესვაზე. ძალიან უმადურად ვეპყრობით გამოცხვარ პურს - იმდენი არ ვჭამთ, რამდენსაც ვაფუჭებთ! აბა, დააკვირდით, ნაგავში მთელ-მთელი პურიც ჰყრია. ახლა კი, რა ვნახე - პური ბურთად უქცევიათ და თამაშობენ! მაშ არ მეყვირა, არ შემეფლრია“ (ჯ. მეხრიშვილის მოთხრობის „მისი უდიდებულესობა პური“ მიხედვით).

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა.

ზეიმის დასასრულს 72-ე სკოლის დირექტორმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნათელა ნატროშვილმა მადლობა გადაუხადა მშობლებს, უფროსი კლასის მოსწავლეებს, მე-4 და მე-4 კლასების ხელმძღვანელებს - თამარ მედევედას და ლამარა ტერბაიანს, ბიბლიოთეკარს - ფირა გაჯიგეას, რომელთაც მოიძიეს ხალხური დიდბაქტიკური მასალა პურზე და მხატვრულ-აღმზრდელი ბითი ღონისძიება ჩაატარეს.

როზა ირემავილი
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

კვალი ნათელი

იაკობ ბურჭულაძეს 100 წელი შეუსრულდა



ზიო, თავის საქმის ღრმა მცოდნე და ბუნებით შრომისმოყვარე. მთელი თავისი სიცოცხლე ბავშვთა აღზრდის საქმეს მონაწილეობდა და ბევრ ახალგაზრდას გაუსწავა გზა საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, იყო თავმდაბალი, პრინციპული, დინჯი და დაკვირვებული მკვლევარი. წლების განმავლობაში აქვეყნებდა ლექსებსა და თხზულებებს ყურნალ-გაზეთებში, ძალიან უყვარდა თავისი მოსწავლეები და სწორედ მათ მიუძღვნა ლექსი: „პირველი გაკვეთილი“.

ეს სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ ზაფხულის არდადეგები გაჭიანურებულად ეჩვენებოდა. სწორედ ეს განცდა გადმოსცა მან ლექსად: „ოცნებით გივლით გარემო არ ცხრება გულის თრთოლვა, მომნატრებიხართ ბავშვები, მომნატრებიხართ სკოლა.“ (გაზეთი „სახალხო განათლება“, 1963 წ., 22 აგვისტო)

რჩეულიშვილი, ნოდარ დუმბაძე, თამაზ ნატროშვილი, თეიმურაზ მალაფერიძე და სხვ.

აი, როგორ იგონებს მწერალი თეიმურაზ მალაფერიძე იაკობ ბურჭულაძეს: „ლიტერატურის გაკვეთილზე შემოდოდა კაცი, რომელიც თავიდან ფეხებამდე დატენილი იყო ლექსებით, რომელიც სათითაოდ შეგვათავალიერებდა და იწყებდა პოეზიის ნამდვილი ფეიერვერკი. არა მგონია, ვცდებოდე, ზეპირად იცოდა მთელი ქართული პოეზია და რალაც ალქიმის წყალობით ახერხებდა ყოველად არაპოეტურ თემაზეც კი პოეზიის ენით ელენარაკა“ (ყურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1980 წ. №4).

საუკეთესო პედაგოგს, პოეტსა და გულისხმიერ საზოგადო მოღვაწეს, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის, 1969 წელს, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მოსწავლეობის საპატიო წოდება, მიღებული აქვს მედლები.

ანა სამადაშვილი
სახალხო განათლების
მუზეუმის
ყოფილი თანამშრომელი

ინფორმაცია



მიმდინარე წლის 14 აპრილს, ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის (დირექტორი - **ჟენია მერაბიშვილი**) პირველი და IV კლასების მოსწავლეებმა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიციები წარმოადგინეს.

ქართული ენის განვითარების გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. მას 3-4 ათასი წლის ისტორია აქვს. მხოლოდ მისი მიმოხილვასაც კი ტომები ვერ დაიტევს. მეოთხეკლასელებმა (ხელმძღვანელი - **მზია**

ნოზაძე) ქრონოლოგიურად, მოკლედ გვიამბეს ქართული ენის განვითარების გზის შესახებ. ზეიმის მონაწილე პირველკლასელებმა (კლასის ხელმძღვანელები: **ლიანა ანგურელი, ლეილა მღებრიშვილი, რიტა კირკიტაძე, თეა ივანიძე, მარინა ჯვარიძე, ხათუნა ჯანაშვილი**; პედაგოგი - **ნინო ოქროშელიძე**) სამშობლოსადმი, დედაენისადმი, მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსები წაკითხეს, შეასრულეს სიმღერები. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს: მუსიკის პედაგოგმა **მარი-**

ნა ყურმაშვილმა, ქორეოგრაფებმა - **ლია და სამსონ მენაბდიშვილებმა**.

მონვეული სტუმრები, პედაგოგები და მშობლები ტაშით ხვდებოდნენ სცენაზე თითოეული მოსწავლის გამოჩენას. სამადლოელი სიტყვები არც სკოლის დირექტორმა დაიშურა ზეიმის მონაწილე პატარებისათვის, დედაენის დღე მიულოცა და სწავლაში წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს.

იზა მარსაბიშვილი
ახალციხის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი

ერთად ენისთვის - დედაენისთვის



2011 წლის 14 აპრილი. გორის რაიონის სოფელი ვარიანი. იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში საინტერესო ღონისძიების მოლოდინშია. ღონისძიების მონაწილეები არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სოფელ ვარიანისა და ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტის საჯარო სკოლებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფელ კახის საშუალო სკოლის მოსწავლეები. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მკვიდრი დევნილი მოზარდები (150 მოსწავლე) „დედაენის“ ავტორის მშობლიურ სოფელში ზემოებენ დედაენის დღეს. ღონისძიების ორგანიზატორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან ერთად, იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „პარმონია და მშვიდობა“ და ვარიანის იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე შიდა ქართლში ავთანდილ მეტივიშვილი, ვარიანის სკოლის დირექტორი **ლია ნიკლაური**, პოეტი **ლილი გოგებაშვილი**, ვარიანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი მამა თეოდოზი.

საზეიმო ღონისძიება გახსნა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დალი ხომერიკმა**: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დედაენის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში ვატარებთ. ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრნი ქედს ვიხრით მის წინაშე, რადგან მან, თავის დროზე, უდიდესი რო-

ლი ითამაშა აფხაზეთში საგანმანათლებლო სისტემის დონის ამაღლებაში, არაერთხელ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისადმი. ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი წევრი ბატონი იაკობიც იყო, დიდ დახმარებას უწევდა ქართველ და აფხაზ პედაგოგებს მათ მიერ თარგმნილი საემწილო და სახალხო მოთხრობების გამოცემაში. მის მიერ შედგენილი დედაენა თითოეული აფხაზეთელისთვის სათაყვანო წიგნი იყო. მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან მის წიგნებზე - „ქართული ანბანი“, „დედაენა“ და „ბუნების კარი“ არაერთი აფხაზი აღზრდილია დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ, ვალის რაიონში (სამურზაყანოში), სადაც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მისი „დედაენით“ ქართველი მოზარდი იწყებდა საწყაროს შეცნობას, დღეს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. ვალის რაიონში აღდგენილი 31 სკოლიდან ქართულენოვანი სწავლება შენარჩუნებულია მხოლოდ 11 სკოლაში, დანარჩენში ან რიგით ენად ისწავლება, ან საერთოდ არ ისწავლება. ამ ვითარებაში „დედაენა“ უფრო მეტად აქტუალურია. ჩვენი ხელშეწყობითა და ქართველი პედაგოგების დიდი ძალისხმევით მზად უნდა ისმოდეს „შრიალი ჩვენი დედაენისა“.

თავის გამოსვლაში მინისტრი შეეხო აგრეთვე საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოზარდების ურთიერთობებს და აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ამ მხრივაც მნიშვნელოვანია - ქართველი, აფხაზი, აზერ-

ბაიჯანელი მოზარდები ერთად ზემოებენ „დედაენის“ დღეს.

მამა თეოდოზი, ვარიანის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი: „ერის სიძლიერის განმსაზღვრელი ენაა, დედაენაა, რომელიც საფუძვლად დაედო დღევანდელ ღონისძიებას. მიხარია, რომ „დედაენა“, რომელიც დღემდე ვერაფერმა ჩაანაცვლა ისევე საყვარელია აფხაზი და აზერბაიჯანელი მოზარდისათვის, როგორც ქართველისთვის.“

მიხეილ გოგებაშვილი, სახლ-მუზეუმის დირექტორი: „ასეთი თემატურად მრავლისმომცველი ღონისძიება უჩვეულოა ჩვენთვის. მიხარია, რომ მოზარდებისთვის ასე საინტერესოა დიდი მოძღვრის, იაკობ გოგებაშვილის პიროვნება და მისი უძვირფასესი განძი „დედაენა“.

თეიმურაზ შალამბერიძე, მამხუტის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „აზერბაიჯანულენოვან მოზარდებში დიდად სახელმწიფო ენის შესწავლის სურვილი. ისინი უკვე პირველი კლასიდან ეუფლებიან ქართულს, ცდილობენ ურთიერთობის გაღრმავებას ქართველ თანატოლებთან. აფხაზეთის სკოლებთან ურთიერთობის ექსპლუატაციის სასკოლო პარტნიორობის პროგრამის პროექტი - „ილაპარაკეთ მხოლოდ ქართულად, მხოლოდ ქართულად ილაპარაკეთ“. ამ პროექტმა დიდი ზეგავლენა იქონია მათში ქართული ცნობიერების ამაღლებაზე. 2010 წელს ჩვენმა სკოლებმა ერთად იზეიმეს დედაენის დღე სოფელ მამხუტში. აზერბაიჯანელებმა ისწავლეს ქართული ლექსები და სიმღერები. ჩვენ მზად ვართ, კიდევ უფრო განვაძლიეროთ მათი მეგობრული ურთიერთობები, რადგან ესაა საქართველოს მშვიდობისა და ერთიანობის საწინდარი.“

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ: **ათანდილ მეტივიშვილი, ლია ნიკლაური, ლილი გოგებაშვილი** და აზერბაიჯანის სოფელ კახის საშუალო სკოლის პედაგოგი **მაყვალა ჯანაშვილი**. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა საუკეთესო კალიგრაფისტი, **ლილა ბაღბაიას** მიერ ფაიფურზე შესრულებული „აი ია“. ხოლო სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა „დედაენა“ გვისახსოვრეს. გაიმართა პოგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები. ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციებში „ვამრავლოთ მამულში სიტყვა ქართული“ ჩაერთო ვარიანის საჯარო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი. ჰერელმა მოზარდებმა წარმოადგინეს ქართული ფოლკლორი; გაიმართა სხვადასხვა სახის ბლიც-კონკურსი: ხატვის - „აი ია“; „იაკობ გოგებაშვილი და „დედაენა“; კალიგრაფიის - „ჩემი ანბანი“ და „სიტყვის კონა“.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები. პროგრამით დაგეგმილი იყო აგრეთვე სპორტული ღონისძიებები მკლავჭიდაში და ჭადრაკში. გამარჯვებულები სიგელებით დააჯილდოვდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ შიდა ქართლში ავთანდილ მეტივიშვილმა. ხოლო თითოეული მონაწილე, ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის, სიგელით დაჯილდოვდა.

ღონისძიების დასასრულ მამა თეოდოზმა მეგობრობის ხე დარგო და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში პარაკლისი გადაიხადა.

მიღმა ზუსბაიბი, ლილა ბაღბაიბი, ლილა თორია



დიდება დედანას!



რამდენიმე წელია თბილისის დამოუკიდებელ სკოლა-გიმნაზია „გორდაში“ (დირექტორი – მერი აფხაზავა) დამკვიდრდა წიგნის დღესასწაული „წყაროსთვალა“. ინფორმაცია და ცოდნა წიგნებიდან ხომ წყაროსავით მოედინება?! ეს დღესასწაული ყოველწლიურად „დედაენის დღის“ ზეიმს ერწყმის. წლებანდელი ზეიმი მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ჩვენი სკოლის დარსების 15 წლისთვის მიეძღვნა.

„წყაროსთვალის“ პირველი ნაწილი 14 აპრილს ჩატარდა. საზეიმო ცერემონია „დედაენის“ ბალეტს გამართეს IV-V კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებლები – მარინე კბილაშვილი, თამარ ვეფხვაძე). 15 აპრილს წიგნის ზეიმი გაიმართა. იგი IV კლასის მოსწავლეებმა დაიწყეს. მათ მშვენივრად წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „დიდება დედანას“ (მასწავლებელი – მარინე კბილაშვილი). ხმაურობილად შეასრულეს სიმღერები რატი ჯგერისაშვილმა, შორენა ჯანჯღავამ და ანა კორძაშიამ (მუსიკის პედაგოგი – ნათია სანაძე).

„დედაენა“ 100 წელზე მეტი ხნისა და ამავე დროს მუდამ ყრმა, მუდამ შვიდი წლისაა, მუდამ პირველკლასელის ასაკისაა. საქართველოში ორი წიგნი იყო თვით არანაგონობართათვისაც ნაცნობი და მახლობელი. ამ წიგნებით იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, ეს წიგნები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და გოგებაშვილის „დედაენა“. „დედაენას“ იმიტომ სწავლობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ნაკითხათ, „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ კითხულობდნენ, რომ დედაენა ედიდებინათ – სიამყით წარმოსთქვავენ IV კლასის მოსწავლეები.

ზეიმის მეორე ნაწილი სკოლაში მოწვეული სტუმრების მისალმება იყო. „ყველას ვეფერებით, ჩვენი ზეიმის მონაწილეები რომ ბრძანდებით, ანგარიშსაც ჩავაბარებთ, ვინ რა ნაკითხა, ვის რა მოეწონა და თავიანთ მოწონებასაც გაგვიზიარებენ“, – მიმართა სტუმრებს ზეი-

მის წამყვანმა, XII კლასის მოსწავლემ შოთა ჭოლაძემ.

15 აპრილს სკოლის დარბაზში შეიკრიბნენ მოწვეული სტუმრები, თანამედროვე საბავშვო მწერლები და პოეტები: მარიამ ნიკლაური, ირმა მალაციძე, ნანა სუხიტაშვილი, მანანა წერეთელი, ცილა გორდეზიანი; ქართული სამწერლობო კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – თენგიზ წონონავა, სკოლა-გიმნაზია „გორდას“ მეგობარი ჟურნალის „ჩვენი მწერლობა“ სარედაქციო მენეჯერი ეკა ბუჯიაშვილი და კორესპონდენტი თეკლა ჯანელიძე.

„ჩვენო საყვარელო ეკა, ჟურნალის ფურცლებზე ხშირად ვეცნობით თქვენს საინტერესო რეპორტაჟებს, ინტერვიუებს, კრიტიკულ ნერილებს. შთაბეჭდვად მახსენდება „დიურერის რაინდის საქურველი“, რომელიც ჯემალ აჯიშვილთან საუბარს მიეძღვნა; „ნოველა ევროპული რანგისა“ შიო არაგვისპირელ-ჯორჯაძის სამარესთან თუ რიტუალი ელიზბარ ერისთავის ძეგლთან გორში. მე თეატრალურ უნივერსიტეტში ვაპირებ სწავლის გავრცელებას და ალბათ ამიტომაც, ის რეპორტაჟები უფრო მომეწონა, ამ თემატიკას რომ მიუძღვნით: „საეტაპო შეხვედრა თემურ ჩხეიძესთან“, „აი, ასეთი რობერტ სტურუა“ და სხვ. მინდა განვაცხადო, თქვენი ნერილები მშრალი რეპორტაჟები კი არ არის, არამედ თითოეული მშვენიერი მხატვრული ნაწარმოების რანგშია აყვანილი, რომელიც მკითხველს საინტერესო ამბის მიწოდებასთან ერთად დიდ სულიერ-ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. დიდ მადლობას მოვასხენებთ ასეთი სიამოვნებისათვის, წარმატებებსა და დიდ ბედნიერებას გისურვებთ“ – მიმართა მეთორმეტეკლასელმა თეკლე ქველაძემ სტუმრებს.

შთაბეჭდვად წარმოადგინეს I და III კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგები – ლეილა აბაშიძე და ნანა ბაიაშვილი) პოეტ მარიამ ნიკლაურის ლექსებზე ტყის იმიტაცია, აქ

იყვნენ: დათვი, ციყვი, ყვავი, გნოლი, გვრიტი, წერო, ჩხიკვი, თავვი და ტყის სხვა ბინადარი, რომლებიც ბოროტის დამარცხებასა და სიკეთის გამარჯვებაში ეხმარებოდნენ ერთმანეთს და სრულყოფდნენ ავტორის სურვილებს.

X კლასის მოსწავლეებმა: სალომე ჯგერისაშვილმა, სოფო კახოშვილმა, მარიამ არველაძემ და ნათია დარსალიამ შთაბეჭდვად, ემოციებით წაიკითხეს მარიამ ნიკლაურის ლექსები.

„ქალბატონო ირმა! ალბათ არ არსებობს ბავშვი, ზღაპარი რომ არ უყვარდეს და მისი ტყუილ-მართალი არ ხიბლავდეს. სიამოვნებით გავეცანი თქვენს ზღაპარს „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში“. ძალიან დავინტერესდით ზღაპრის გმირის – ონავარი ლუკის ოინებით. დიდი მადლობა, რომ დავგვიმით დრო და დღეს ჩვენთან იმყოფებით“, – მიმართა IX კლასის მოსწავლემ, თეკლე ზაკალაშვილმა სტუმრებს.

ჩვენი სკოლის VII-VIII კლასების მოსწავლეები (მასწავლებელი – ირინე ხოსროშვილი) დაუმეგობრდნენ მეცნიერსა და პედაგოგს – პოეტს, ქალბატონ ცილა გორდეზიანს, რომელიც ნიჭიერებასთან ერთად საოცრად თბილი და მეგობრული ადამიანია. მოსწავლეებმა მისი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წარმოადგინეს და წუთით შეგვახედეს იმ ჯადოსნურ სამყაროში, პოეზია რომ ჰქვია.

VI-VII კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებელი – მარინე ვეშაბიძე) დიდი ინტერესით წაიკითხეს მანანა წერეთლის საყმაწვილო წიგნი: „ცისა, ლექსო და ეს სამყარო“. ავტორმა პატარები ცისკენ გაახედა და დაუხატა საოცრებათა სამყარო. გაუშვილა მრავალი საიდუმლო და დაანახვა ყველაზე მთავარი – უფლის ანგელოზი. ქალბატონმა მანანამ ბავშვებს ამ მოთხრობის მეშვეობით მოუწოდა სიკეთისკენ, დაგმო ბოროტება და ურთიერთსიყვარული, თანაგრძნობა და თანადგომა ასწავლა. სწორედ სიკეთეს, კეთილშობილებას და მოყვასის სიყვარულს მოაქვს ადამიანისათვის ბედნიერება, რომელიც თითოეულს უფლის სახლამდე მიყვანს. მოსწავლეებმა მწერალს მიმართეს:

„ტესტური დავალებები, ნაკითხულის გააზრება და წერითი დავალების ნიმუშების ვარიანტები“. სამი წიგნისაგან შემდგარი კრებული მოიცავს თითქმის მთელ სასკოლო პროგრამულ მასალას, V საუკუნეიდან დღემდე. ეს არის პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტური დავალებები ნაწარმოების უკეთ აღქმისა და გააზრებისათვის. ბატონო თენგიზ! მადლობას მოგახსენებთ განუვლი შრომისათვის, იმისათვის, რომ გავვიადვილეთ ნაკითხულის აღქმა, გაგება, გაანალიზება და შეფასება. თქვენ ჩვენი სკოლის საუკეთესო მეგობარი ბრძანდებით. დიდი მადლობა, რომ დავგვიმით დრო და დღეს ჩვენთან იმყოფებით“, – მიმართა IX კლასის მოსწავლემ, თეკლე ზაკალაშვილმა სტუმრებს.

ჩვენი სკოლის VII-VIII კლასების მოსწავლეები (მასწავლებელი – ირინე ხოსროშვილი) დაუმეგობრდნენ მეცნიერსა და პედაგოგს – პოეტს, ქალბატონ ცილა გორდეზიანს, რომელიც ნიჭიერებასთან ერთად საოცრად თბილი და მეგობრული ადამიანია. მოსწავლეებმა მისი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წარმოადგინეს და წუთით შეგვახედეს იმ ჯადოსნურ სამყაროში, პოეზია რომ ჰქვია.

VI-VII კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებელი – მარინე ვეშაბიძე) დიდი ინტერესით წაიკითხეს მანანა წერეთლის საყმაწვილო წიგნი: „ცისა, ლექსო და ეს სამყარო“. ავტორმა პატარები ცისკენ გაახედა და დაუხატა საოცრებათა სამყარო. გაუშვილა მრავალი საიდუმლო და დაანახვა ყველაზე მთავარი – უფლის ანგელოზი. ქალბატონმა მანანამ ბავშვებს ამ მოთხრობის მეშვეობით მოუწოდა სიკეთისკენ, დაგმო ბოროტება და ურთიერთსიყვარული, თანაგრძნობა და თანადგომა ასწავლა. სწორედ სიკეთეს, კეთილშობილებას და მოყვასის სიყვარულს მოაქვს ადამიანისათვის ბედნიერება, რომელიც თითოეულს უფლის სახლამდე მიყვანს. მოსწავლეებმა მწერალს მიმართეს:

„გვჯერა, სანამ ამქვეყნად სიკეთე და სიყვარული არსებობს, სამიში არაფერია“.

დღესასწაულის III ნაწილში კი წლის განმავლობაში – 14 აპრილიდან 14 აპრილამდე – სკოლაში მიმდინარე კონკურსი „წლის საუკეთესო მკითხველი მოსწავლე – 2010“ შეჯამდა. ჟიურის თავმჯდომარემ, სკოლის დირექტორმა მერი აფხაზავამ, ღონისძიების მონაწილეებს ჟიურის წევრები წარუდგინა. ისაუბრა, თუ როგორ, რა კრიტერიუმებით იმუშავა ჟიურმა გამარჯვებულთა გამოსავლენად, გააცნო მათ ნომინაციები და გამარჯვებულთა დაჯილდოების პროცედურაში, ჟიურის წევრებთან ერთად, სტუმრები ჩართო. გამარჯვებულ მოსწავლეებს, სიგელებთან ერთად, ახალი წიგნები გადაეცათ.

„წლის საუკეთესო მკითხველი – 2010“-ის გამარჯვებული გახდა IV კლასი. I ადგილი ნუცა ცხვარიაშვილმა მოიპოვა, მეორე ადგილი – თემურ ზერეკიძემ და მესამე ადგილი – ავთანდილ დვალაშვილმა. გამარჯვებული კლასის დამრიგებელი მარინე კბილაშვილი, მოწვეულმა სტუმარმა თენგიზ წონონავამ დააჯილდოვა; „საუკეთესო კომენტარისათვის“ დაჯილდოვდა XII კლასის მოსწავლე თეკლე ქველაძე (მასწავლებელი – ჯულიეტა ჯანჯღავა). დაჯილდოვდნენ „ნორჩი კალიგრაფისტი“ პირველკლასელი გიორგი გამცემლიძე, მესამეკლასელი ანანო მირზელაშვილი, მეოთხეკლასელი გიორგი მაჭარაშვილი, მეხუთეკლასელი დავით კუპატაძე და მეექვსეკლასელი ანა კონსტანტინიძე.


სტუმრები მადლიერებას და გოცებას ვერ მალავდნენ ნანახისა და განცდილის გამო. მათ წარმატებები უსურვეს სკოლა-გიმნაზია „გორდას“ მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

ნილო მოლაშხია
დირექტორის მოადგილე
ალმზრდელით დარგში

კარლო სალუქვაძის ფოტოები



ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამწყვეტილებით, მომავალი სასწავლო წლიდან, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი საგნის - „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ შემოღება იგეგმება.

საგანს „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები შეისწავლიან. ახალი საგნის შემოღება მიზნად ისახავს გზებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფას, სწორედ ამას შეუწყობს ხელს სკოლის ასაკში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ავტომობილის მართვის თეორიულ კურსს მოსწავლეები სკოლაშივე გაივლიან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, 17 წლის ასაკში, მშობლის თანხმობის შემთხვევაში, მოსწავლეები მართვის დროებით მოწმობებს უსასყიდლოდ მიიღებენ. მათ საშუალება ექნებათ ქალაქში ავტომობილით იმობილი, ეკრძალებათ მხოლოდ მგზავრების გადაყვანა. 18 წლის ასაკში კი, დროებითი მოწმობის ნაცვლად, ახალგაზრდა საერთაშორისო სტანდარტის მართვის მოწმობას ასევე უსასყიდლოდ აიღებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნას, პოლიციის აკადემიის მხარდაჭერით კი ახალი საგნის მასწავლებლები გადამზადდებიან.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) პროფესიულ განათლებაზე კონფერენცია გამართეს. ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გახსნა.

კონფერენციის მონაწილეებს მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ეროვნული სტრატეგია წარუდგინა. დოკუმენტში ასახულია, თუ რა ღონისძიებები გატარდა და რა იგეგმება პროფესიული სწავლების გაძლიერებისა და მისი მნიშვნელობის ზრდის თვალსაზრისით.

კონფერენციაზე „დუტა პროდაქშენის“ მიერ მომზადებული გადაცემის პრეზენტაციაც გაიმართა. პროექტი პროფესიულ განათლებას ეხება და ეთერში, 40-წუთიანი ფილმების სახით, უახლოეს მომავალში გავა. გადაცემა მსახიობმა დუტა სხირტლაძემ GIZ-ის მხარდაჭერით, სამინისტროსთან და სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად დაამზადა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ



ლი ცენტრის დირექტორმა ჭიათურის მე-12 სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და დაასაჩუქრა. **გია მამულაშვილმა** ბავშვებს სათამაშოებთან ერთად საბავშვო ჟურნალი „ჯუნნიორი“ გადასცა.

ჭიათურის მე-12 სკოლა-პანსიონში 6-დან 17 წლამდე ასაკის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები სწავლობენ, სულ - 32 მოსწავლე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ჭიათურის სკოლა-პანსიონში უკვე მეორედ იმყოფებოდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** თბილისის მე-200 სკოლა-პანსიონს ეწვია, ბავშვებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და სააღდგომო საჩუქრები გადასცა.

მე-200 საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 157 მოსწავლეა, მათგან 110 პანსიონური მომსახურებით სარგებლობს. 23 აპრილს მინისტრს ამ სკოლის 60-მა მოსწავლემ უმასპინძლა.



დიმიტრი შაშკინის განცხადებით, სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციაზე, ახორციელებს პროექტებს, რომლებშიც ამ სკოლის მოსწავლეებიც არიან ჩართულნი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

ღონისძიების დასასრულს, მოსწავლეებმა სტუმრებს თავიანთი ხელნაკეთი ნივთები დაათვალიერებინეს და საკონცერტო ნომრები წარუდგინეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** გვი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის ახალი კორპუსის საძირკველის ჩაყრის ცერემონიას დაესწრო. თანამედროვე სტრუქტურულ კამპუსს კომპანია „ლისი დეველოპმენტი“ ლისის ტბის ტერიტორიაზე აშენებს.

ახალი ტიპის შენობით აკადემია იქნება არა მხოლოდ სამაგალითო საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ - ეკოლოგიურად გამორჩეული. ე.წ. მწვანე კონცეფციით აგებულ შენობაში გამოყენებული იქნება ენერჯის დაზოგვის პრინციპები: ბუნებრივი განათება, გეოთერმული გათბობა, სპეცი-



ალური საკონტროლო სისტემები და ენერჯის დამზოგავი მასალები. ახალი სკოლის შენობა 4 ათასამდე კვადრატულ მეტრს დაიკავებს და აკადემიაში 280 მოსწავლე ისწავლის. მშენებლობა 2012 წლის ოქტომბერში დასრულდება.

ამერიკული აკადემია, 2001 წელს, ქართველმა ბიზნესმენმა, გივი ზალდასტანიშვილმა დააარსა. მიმდინარე 2011 წელი ამერიკული აკადემიის საიუბილეო წელია - სკოლას ათი წელი შეუსრულდა. აკადემიას 290 კურსდამთავრებული ჰყავს, მათი უმრავლესობა ჰარვარდის, იელის, პრინსტონის, კოლუმბიის, ბრაუნისა და ემორის უნივერსიტეტებში, ამერიკის სამხედრო და საზღვაო აკადემიებში, მილანში - ბოკონის უნივერსიტეტში, პარიზში - ამერიკის უნივერსიტეტში, ლონდონში - ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, შოტლანდიაში - სენტ ენდრიუსის, ედინბურგის უნივერსიტეტებსა და მრავალ სხვა ამერიკისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, წარმატებული კერძო სკოლების არსებობა ქვეყანას მხოლოდ აძლიერებს. სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს კერძო სკოლებთან და მზად არის მომავალშიც თავისი წვლილი შეიტანოს მათ განვითარებაში.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში კონფერენცია ჩაატარა. ღონისძიებას მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე** დაესწრო.

კონფერენციის მონაწილეებმა პროექტის გამოწვევებზე, არსებულ მიწვევებსა და გამოცდილებაზე ისაუბრეს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროგრამას „ასწავლე საქართველოსთვის“, უკვე მეორე წელია, საქართველოს 10 რეგიონის 49 სკოლაში ახორციელებს. მაღალმთიან სოფლებში სულ 68 კონსულტანტ-მასწავლებელი ასწავლის. პროგრამის მიზანია რეგიონებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და იქ, სადაც კვალიფიციური მასწავლებლის განსაკუთრებული საჭიროებაა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების დასაქმება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, 28-30 აპრილს, პროგრამის მონაწილეებს ჩაუტარა ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში.

Smart Board-ის გამოყენებით სამოდულო გაკვეთილების ჩატარება გრძელდება. მათემატიკის გაკვეთილი, ამჯერად, ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ. ინტერაქტიური დაფის მეშვეობით გაკვეთილის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** და იმერეთის გუბერნატორის მოადგილე **გიორგი შუშანია** დაესწრნენ.

Smart Board მობრძილი სენსორული დაფაა, რომელიც კომპიუტერის სამუშაო მაგიდის გადიდებულ ვერსიას გვიჩვენებს. მასზე ყველა მოქმედება ელექტრონულად ხორციელდება და გამოიყენება ნებისმიერი საგნის მარჯვების პროცესში. ინტერაქტიური დაფა სამართავად მარჯვინია, მასზე წერა ციფრული „მელნითა“ შესაძლებელი, იძლევა ნაშრომის შენახვის საშუალებას და ყველაფერი ეს უბრალოდ თითების შეხებით ხორციელდება. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას დაფა ვირტუალური ლაბორატორიის ფუნქციას იძენს.

მასწავლებელს, ელექტრონული დაფის გამოყენებით, შეუძლია მოსწავლეებს ტესტირება ჩაუტაროს, ისინი დისტანციური მართვის პულტების დახმარებით დააფიქსირებენ პასუხების თავიანთ ვარიანტებს.

კვლევებმა აჩვენეს, რომ smart board-ის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მათ აკადემიურ მოსწრებას, ამცირებს ახალი მასალის ახსნასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ხელს უწყობს მასალის დამახსოვრებას.

სამინისტრო გამოეხმაურა პრეზიდენტის ინიციატივას - საქართველოს მასშტაბით, რაც შეიძლება მეტ საჯარო სკოლაში მოხდეს ინტერაქტიური დაფების გამოყენება სასწავლო პროცესში, ამისათვის მიმდინარეობს სკოლების smart board-ებით ეტაპობრივად აღჭურვის პროცესი.

სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ატარებს მასწავლებელთა ტრენინგებს smart board-ის გამოყენებაში. 500-მდე მასწავლებელი უკვე გადამზადდა. სამინისტროს ინოვაციურ ცენტრში ყოველდღიურად ტარდება სამოდულო გაკვეთილები. გაკვეთილებზე დასწრება თავისუფალია და ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გაეცნოს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდებს.



სპორტი

უნივერსიადა-2011



3 მაისიდან სტარტი აიღო „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადა-2011“-მა, რომელიც 10 ივნისამდე გაგრძელდება. მოგეხსენებათ, კომპანია „რომპეტროლი“ საუნივერსიტეტო სპორტის სპონსორი გახდა და სახელწოდებაც აქედან გამომდინარეობს. უკვე ჩატარდა უნივერსიადა ზამთრის სახეობებში, ამ- ჯერად კი შეჯიბრებები ზაფხულის სპორტის 20 სახეობაში იმართება, ესენია: ქართული, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, კარატე, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, სტრიტბოლი, შვიდეკაცა რაგბი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, მკლავჭიდი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ხელ-

ბურთი, ძალისმიერი სამჭიდი, ტაეკვანდო და კრივი. ასპარეზობები თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართა, დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, ქუთაისის, თელავის, ბათუმის, გორისა და რუსთავის შესაბამისი სასწავლებლებიც მონაწილეობენ. წინასწარი მონაცემებით, უნივერსიადაში ქვეყნის 35-მდე უმაღლესი დაწესებულების 2 000 სტუდენტი ასპარეზობს.

უნივერსიადის პროგრამის საზღვიო პრეზენტაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა, სადაც მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა აღნიშნა „რომპეტროლის“ დამსახურება უნივერსიადის ჩატარებაში. „ჩვენი კომპანია განსაკუთრებით გულშემატკივრობს ახალგაზრდული სპორტის განვითარებას, რადგან ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვირდება ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. უნივერსიადასაც ამიტომ ვასპონსორებთ – გვინდა, ამით წავახალისოთ ახალგაზრდები ცხოვრების ჯანსაღი წესის დასაპყვიდრებლად. მოხარული ვართ, რომ საშუალება გვქონდეს, მხარი დავუჭიროთ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციაში გაერთიანებულ 40-ზე მეტ უმაღლეს სასწავლებელს“ – განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრ ალბინმა.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ უნივერსიადის ჩემპიონები, ზაფხულის ბოლოს, ჩინეთში მსოფლიო უნივერსიადაზე გაემგზავრებიან.

შოთაძის ხმალი პერსხლი მოგვიტანა

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დამთავრდა ბავშვთა პირველი მსოფლიო თამაშები, რომელიც სადებიუტო შეჯიბრების კვალობაზე, ფრიად სოლიდური გამოდგა – სპორტის 90 სახეობის 3 000 მოზარდი მონაწილეობდა. საქართველო იქ შედარებით მოკრძალებულად, მხოლოდ ოთხი სახეობით იყო წარმოდგენილი – უშუ, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ფარიკაობა... დელეგაცია საქართველოში 1 ვერცხლის მედლით დაბრუნდა, რომელიც უშუში მოასპარეზე 11 წლის გიორგი შოთაძემ ხმლით გამოსვლაში მოიპოვა. სამწუხაროდ, ჩვენმა დელეგაციამ სხვა სახეობებში წარმატებას ვერ მიანია.

კვლავას ბრინჯაო

შარშანდელის დარად, 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა წლუელსაც მესამე ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატზე. ტურნირი საფრანგეთში გაიმართა, ჩვენებმა კი მეოთხედფინალში ტრადიციულად დაიბრწყვეს ტრადიციული მეტოქე – რუსებს 38:3 აჯობეს. ნახევარფინალში მეტოქე იტალიის ნაკრები იყო, რომელიც რანგით ჩვენებზე მაღლა და ამ შეხვედრაშიც ფავორიტები იყვნენ. ლევან მგელაძის განვრთნილმა „პატარა ბორჯალოსებმა“ იტალიელებთან კი ომეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ და 16:36 წააგეს. ბრინჯაოსთვის გამართულ შეხვედრაში გერმანელები გაანადგურეს – 40:0. მთელი შეხვედრის განმავლობაში მგელაძის შეგირდები აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდნენ და მოგება საეჭვო ერთი წუთითაც არ გაუხდიათ.

ამ ასაკში ევროპის ჩემპიონი შოტლანდიის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში იტალიას 17:12 მოუგო.



თსუ-მ ბილიარდს უმასპინძლა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თაოსნობით, საბილიარდო „რიოში“, სასწავლებლის პირველობა ჩატარდა სპორტის ამ სახეობაში. ჩემპიონობისთვის სხვადასხვა ფაკულტეტის 128 სტუდენტი მონაწილეობდა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც ვაჟები შეადგენდნენ – გოგო მხოლოდ ორი იყო. ორდღიანი დაძაბული შეხვედრების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ზურაბ წერეთელმა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტმა ოთარ ჩიტაიამ მოიპოვეს.

წერეთელი შარშანდელი პირველობის გამარჯვებულა და ტიტულის შესანარჩუნებლად ახლაც მაქსიმუმი გააკეთა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თანაბარ ორთაბრძოლაში, თუმცა დასკვნითი ეტაპი უფრო მეტი შემართებით წერეთელმა ჩაატარა, 5:4 მოიგო და ჩემპიონობაც შეინარჩუნა. მანვე ჯილდოდ, თასთან და მედალთან ერთად, ფულადი ჯილდოც მიიღო – 200 ლარი. 100 ლარით დაჯილდოვდა ჩიტაი.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა შიდა პირველობების გამართვას სპორტის სხვა სახეობებშიც აპირებს.

წარმატება იუჰანსონის თასზე

საქართველოს 14 და 15-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებებმა წარმატებით ითამაშეს სტოკჰოლმში დასრულებულ „ლენარტ იუჰანსონის თასზე“. შეგახსენებთ – წლების განმავლობაში ევროპის საფეხბურთო კონფედერაციის (UEFA) პრეზიდენტი იუჰანსონი ეროვნებით შვედია და მისი ღვაწლი სამშობლოში ამ გზით დააფასეს. საბედნიეროდ, 15-წლამდელთა ნაკრებმა თავის ასაკში გაიმარჯვა, 14-წლიანები კი მესამეზე გავიდნენ.



არადა, შეჯიბრებაში წარმატებული სტარტი სწორედ უმცროსებს ჰქონდათ – ფინური „ჰიკი“ 5:1 დაამარცხეს, ამ დროს კი ნოდარ აკობიას განვრთნილებმა ავსტრიულ „შტურმთან“ 0:1 წააგეს. საბედნიეროდ, მომდევნო შეხვედრებში მობილიზება შეძლეს და წარმატებით ითამაშეს. მათ ჯერ ფინური „ჰონკა“ დაჯაბნეს დიდი ანგარიშით – 4:0. ამ შეხვედრაში გურამ გომთელისძემ და ლუბო შეასრულა, გიორგი ჯობავამ და გიორგი წივილაშვილმა კი თითო გოლი მიითვალეს. ამის შემდეგ ჩვენებმა, ნიკა ლაშხიას ჰეთორიქის წყალობით, 3:1 მოუგეს

თვით სახელგანთქმულ „აიაქს“, რითაც ნახევარფინალში გავიდნენ, იქ კი, ისევ ლაშხიასა და ჯობავას გოლებით, ადგილობრივი „აიკი“ 2:0 დაამარცხეს. ფინალში მათი მეტოქე ტურნირის ფავორიტი და „აიაქსზე“ ბევრად ტიტულოვანი კლუბი, იტალიური „იუვენტუსი“ იყო, თუმცა ჩვენები მეტოქის ავტორიტეტს

არ შეუშინდნენ და, გურამ გომთელისძის ერთადერთი გოლის წყალობით, 1:0 მოუგეს. თამაში ძალიან დაძაბული იყო და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. გამარჯვების გოლიც მხოლოდ 86-ე წუთზე გავიდა, როცა საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა გომთელისძემ შორეულ კუთხეში მეკარეს

აულებელი დაურტყა. ამით ჩვენები ამ მეტად პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონები გახდნენ, თუმცა ეს კიდევ არაა ყველაფერი – შეჯიბრების დასრულებული ფეხბურთელთა ჯობავა დაასახელეს, რომელსაც სათანადო პრიზი თვით ლენარტ იუჰანსონმა გადასცა, ვინც პირადად ხელმძღვანელობდა დაჯილდოების ცერემონიას. ამასთან, ბომბარდირობა 4 გოლით ლაშხიამ მოიპოვა.

ჩემპიონები ვერ გახდნენ, მაგრამ ურიგოდ არც 14-წლამდელთა გამოსულან. სადებიუტო შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ გოჩა ტყეშელავას განვრთნილებმა დაწინაურდნენ „მილანთან“ აჯობეს, მაგრამ შემდეგ ორი შეხვედრა წააგეს – ჯერ იტალიურ „მილანთან“ დამარცხდნენ დიდი ანგარიშით – 1:7, მერე კი ნახევარფინალშიც დათმეს ბერძნულ პაოკთან 0:1. მესამე ადგილისთვის შეხვედრა „აიაქსთან“ მოუწიათ, რომელსაც არანაირი შანსი არ დაუტოვეს და დიდი ანგარიშით სძლიეს – 6:0. ჩვენებმა პირველი გოლი მალევე გაიტანეს – მეექვსე წუთზე პენალტით ლუკა ვარძელაშვილმა გაიტანა, 11 წუთ-

ში კი ანგარიში 2:0-მდე დავით მოსულიშვილმა გაზარდა. პირველი ტაიმი ასეც მორჩა, მეორეში კი ირაკლი ბულრიძემ ჰეთორიქი შეასრულა, მატჩს კი წერტილი რატი არდაზიშვილმა დაუსვა. უცხოური სააგენტოები ჩვენების მეკარე გიორგი ჩოჩიშვილის კარგ თამაშსაც აღნიშნავენ, გუნდის ბომბარდირი კი 6 გოლით ბულრიძე გახდა.

ამავე დღეებში, კიდევ ერთმა ასაკობრივმა ნაკრებმა ითამაშა საერთაშორისო ტურნირი – „ყაზახეთის პრეზიდენტის თასზე“ 17-წლამდელთა და არცთუ ურიგოდ. ვასილ მაისურაძის გუნდი საბოლოოდ მეხუთეზე გავიდა, თუმცა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი მისივე წევრი ნიკა ახვლედიანი გახდა. ჩვენებმა ასტანაში თავიდან სომხებს კი აჯობეს – 5:3, მაგრამ მერე ჯერ თურქებთან დამარცხდნენ 1:2, შემდეგ კი უკრაინელებთან წააგეს 0:1. ბოლო შეხვედრაში მათ ირანი 3:2 დაამარცხეს.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე

„ახალი განათლება“ ჟიურის თარიღი

შემდეგი ტომის ხელმოწერის
თანხა უნდა ჩარიცხვით
30 მაისამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი,
სკოლა, სახელი და გვარი.

**შესაძლებელია ინდივიდუალური
ხელმოწერები!**

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა


გადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22,
ა/ა GE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22,
ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22,
ა/ა 123631000

უპროპიანოდ ახალი ხელმოწერები



„რა არის რა“
ერთი ტომი – 11 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის
კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი



მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბულაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასაგარეო უწყის მიერ.
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის
რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000